ეროვნული ბიბლიოთეკა


# ახალგაზრდა ივერიელი

გამოდის 1921 წლიდან

სამშაბათი 21 აგვისტო № 89 (11575) 1990

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 3 კაპ.


## საქართველოს უზენაესი საბჭოს სესია

18 აგვისტოს საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს მეთექვსმეტე სესიამ განაგრძო მუშაობა.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. გუმბარიძემ განაცხადა, რომ წინადღით გაიმართა სესიის სარედაქციო კომისიის სხდომა, რომელმაც განიხილა დღის წესრიგის პირველი საკითხის განხილვის დროს კამათში გამოთქმული და წერილობით შემოსული წინადადებანი რესპუბლიკის მომავალი პარლამენტის რაოდენობრივი შემადგენლობის შესახებ. შეისწავლა და გააანალიზა რა ისინი, კომისიამ განაზოგადა ეს წინადადებანი და თავის დასკვნას წარუდგენს სესიას.

ამავე დროს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ნევრთა დავალებით გ. გუმბარიძემ გააკეთა შემდეგი განცხადება. მიუხედავად იმისა, თქვა მან, რომ გუშინ სესიის დაწყების წინ მთავრობის სასახლესთან მიმდინარე მიტინგის მონაწილეებს მოვუწოდეთ გამოეჩინათ სიმშვიდე და თავშეკავება, რათა შექმნილიყო მუშაობის ნორმალური პირობები, ვითარება სესიის გარშემო კვლავ დაძაბულია. გუშინდელი დღის სხდომების შემდეგ ზოგიერთ დეპუტატს ქუჩაში, მოგვიანებით კი სასტუმროებშიც ტელეფონით შეურაცხყოფდნენ, ემუქრებოდნენ იმათ, ვისი პოზიციაც არ ემთხვევა ოპონენტთა შეხედულებებს. დაძაბულობა, სამწუხაროდ, დღესაც არ კლებულობს. ამიტომ კვლავ მოვუწოდებთ მომიტინგეებს წესრიგისათვის, რათა მოგვცენ ნაყოფიერი მუშაობის შესაძლებლობა.

რამდენიმე ხნის შემდეგ სესიამ განაგრძო არჩევნების კანონპროექტების საკითხის განხილვა. გაცხარებულ კამათში მონაწილეობა მიიღეს, აგრეთვე შენიშვნები და წინადადებანი გამოთქვეს დეპუტატებმა ნ. ნათაძემ, ნ. ჭითანავამ, ა. ბურჯანაძემ, გ. ანდრონიკაშვილმა, ე. შენგელაიამ, რ. კონცელიძემ, კ. გარდაფხაძემ, ი. მენაღარიშვილმა, გ. ციციშვილმა, ე. ყურაშვილმა, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატმა ა. ბაქრაძემ, დეპუტატებმა რ. მემარნიშვილმა, ნ. გურგენიძემ, ჯ. გორგოძემ, ნ. ჭავჭავაძემ, რ. ჯახიამ, ზ. ლომიძემ, ნ. ვაშაძემ, ო. კალანდარიშვილმა.

ამით კამათი დღის წესრიგის პირველი საკითხის გამო შეწყდა.

შესვენების შემდეგ სესიის მონაწილეებმა განსაზღვრეს არჩევნების კანონის შეთანხმებული პროექტის დამატებანი და ცვლილებანი ფარული კენჭისყრის ბიულეტენებში შესატანად.

ამ დღეს სესიის მუშაობა გვიან დამთავრდა.

(საქინფორმი).

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესიამ მუშაობა დაამთავრა

საქართველოს მომავალ პარლამენტს წარმოადგენს 250 დეპუტატი, რომელთა არჩევნები გაიმართება შერეული მაჟორიტარულ-პროპორციული სისტემის საფუძველზე. ეს ნიშნავს, რომ 125 დეპუტატს აირჩევენ პარლამენტში ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქების მიხედვით, ხოლო დანარჩენ 125 დეპუტატს — სრულიად საქართველოს პარტიული სიების მიხედვით თანაბარი წარმომადგენლობის საფუძველზე.

ეს გადაწყვეტილება დამტკიცებულია საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონით, რომელიც მიიღო 18 აგვისტოს, გვიან ღამით დამთავრებულმა რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი ორგანოს მეთექვსმეტე სესიამ.

მომავალ პარლამენტში დეპუტატთა კორპუსის რაოდენობა და მისი არჩევის სისტემა, ისევე როგორც მათთვის ხმის მიცემის პროცედურა, სესიაზე ყველაზე სადავო საკითხები გახდა არჩევნების შესახებ კანონის შეთანხმებული პროექტის განხილვის დროს, არჩევნებისა, რომელიც არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ქვეყანაშიც პირველად გაიმართება მრავალპარტიულ საფუძველზე. კონსენსუსი მიღწეულია მხოლოდ კომპრომისული გადაწყვეტილების შედეგად, რომელსაც ბოლოს და ბოლოს მიაღწიეს დეპუტატებმა მწვავე და ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ. კამათში მონაწილეობდნენ როგორც თავად დეპუტატები: **რ. გორდეზიანი, გ. ანდრონიკაშვილი, ა. ალექსიძე, თ. გამყრელიძე, ე. ხეხნიაშვილი, ა. ბურჯანაძე, ჯ. ჩარკვიანი,** ასევე კანონპროექტის მოსამზადებელი საკონსულტაციო კომისიის წევრები — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი **ლ. ალექსიძე,** საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე **ჯ. ხეცურიანი,** საქართველოს რესპუბლიკური ფედერალური პარტიის წარმომადგენელი **ი. შენგელაია,** რომლებიც იძლეოდნენ ახსნა-განმარტებას მისი ცალკეული მუხლებისა და მათი ალტერნატიული ვარიანტების შესახებ.

საქმიანი, დაინტერესებული განხილვის საგანი იყო კანონპროექტის სხვა ფუძემდებელი დებულებანიც, რომელთა გამო გამოვიდნენ დეპუტატები: **გ. ციციშვილი, თ. გამყრელიძე, რ. კონცელიძე, ჯ. მარგველიძე, გ. ლორთქიფანიძე, რ. გორდეზიანი, ე. შენგელაია, ვ. ჩხეიძე, ბ. მაყაშვილი, ა. ბურჯანაძე** და სხვები.

ღია მუხლებით კენჭისყრით დეპუტატებმა მიიღეს კანონი საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ.

საქართველოს სსრ კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ცვლილებათა და დამატებათა შეტანის საკითხზე გამოვიდა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. კვარაცხელია.**

სესიამ მიიღო შესაბამისი კანონი.

იმასთან დაკავშირებით, რომ ადრე გადატანილი იყო საქართველოს სსრ მეთორმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს და რესპუბლიკის ოცდამეორე მოწვევის ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა არჩევნების ვადები და მიღებულია საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ ახალი კანონი, სესიამ მიიღო შესაბამისი დადგენილება.

შემდეგ დეპუტატები შეუდგნენ დღის წესრიგის მომდევნო საკითხის განხილვას. რამდენადაც საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მოქალაქეთა მრავალწლოვანი საჩივრების შემსწავლელი კომისიის დასკვნა წინასწარ იყო დარიგებული, ამ კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა **ნ. ნათაძემ** თავის გამოსვლაში ყურადღება მიაპყრო წარმოდგენილი დოკუმენტის ძირითად დებულებებს.

ამ საკითხზე გამოვიდა საქართველოს სსრ პროკურორი, დეპუტატი **ვ. რაზმაძე.**

სესიამ მიიღო შესაბამისი დადგენილება.

დეპუტატებმა დაამტკიცეს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი, მიიღეს შესაბამისი კანონები და დადგენილებები.

ამით საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესიამ მუშაობა დაამთავრა.

(საქინფორმი).

## აქცია ჯვარში

სოხუმში ჰიდრომშენებელთა ბინის ძალით დაკავებასთან დაკავშირებულმა ენგურჰესელთა აქციამ კულმინაციას მიაღწია. ამ დღეებში სათანადო დაცვის მიდგარი წინააღმდეგობის მიუხედავად უბინაოდ დარჩენილმა ჰიდრომშენებლებმა დაიკავეს უაღრესად მნიშვნელოვანი და სახიფათო ნაგებობა — ენგურჰესის 271 მეტრიანი კაშხალის ჩამკეტი ფარების სამართავი პულტის შენობა.

აი, რა განაცხადა საგაფიცვო კომიტეტის თავმჯდომარემ სამოქალაქო და საბინაო მშენებლობის სამმართველოს ბრიგადირმა კოტე ქარდავამ:

— ორ თვეზე მეტია ვითხოვთ უკანონოდ დაკავებულ ბინების გამოთავისუფლებას, მაგრამ ამაოდ. ბევრჯერ მივმართეთ თხოვნით რესპუბლიკის მთავრობას, აფხაზეთის ასსრ ხელმძღვანელობას. რეალური შედეგი კი ამას არ მოჰყოლია. ამან კიდევ უფრო დაძაბა სიტუაცია, რასაც მოჰყვა ენგურჰესის პულტის დაკავება. მიუხედავად შექმნილი რთული სიტუაციისა, კიდევ არის იმედი იმისა, რომ სიმართლე გაიმარჯვებს და ჩვენ ავცდებით უკიდურესი, გამოუსწორებელი ზომების მიღებას.

**ოდიკ კუხილავა,**
**საქინფორმის კორესპონდენტი.**

## ახალმოსახლენი აჩქარებენ ახალსახლობას

ქალაქ რუსთავში მშენებარე სახლის ცალკეული ბინები შეიძლება შესახლებისათვის გადაეცეს ჯერ კიდევ მშენებლობის დამამთავრებელი ეტაპის დასრულებამდე, იმ შემთხვევაში, თუ ახალმოსახლენი დათანხმდებიან თავიანთი სახსრებით შეასრულონ ზოგიერთი მოსაპირკეთებელი და სხვა სამუშაოები.

საქინფორმის კორესპონდენტმა სთხოვა საქართველოს სსრ სამშენებლო სახელმწიფო კომიტეტთან არსებული არქიტექტურისა და ქალაქ-მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს ჯაბა კუბლაშვილს განემარტა რუსთავის ექსპერიმენტი.

— ამ ექსპერიმენტის ამბავი კარგად ვიცით. და არა მარტო ვიცით — იგი მოიწონა სახმშენმა და მიიღო კიდეც მისი გავრცელების შესახებ დადგენილება, — თქვა ჯაბა კუბლაშვილმა. — საქმე ის არის, რომ უმეტეს შემთხვევაში ახალმოსახლენი უკმაყოფილონი არიან ცალკეული ტრესტების, სამმართველოების, სხვა ორგანიზაციების მიერ შესრულებული მოსაპირკეთებელი სამუშაოების ხარისხით. მართლაც, გეგმის შესრულების, ამა თუ იმ სახლის საექსპლოატაციოდ რაც შეიძლება სწრაფად გადაცემის სურვილით შეპყრობილი მშენებლები მრავალ სამუშაოს ასრულებენ დაუდევრად, არასათანადო დონეზე. სახლის საექსპლოატაციოდ გადაცემის შემდეგ მცხოვრებლები იწყებენ კარის გადაკეთებას. ხისას ძირითადად რკინის კარით ცვლიან, თბილისური წარმოების შპალერს — იმპორტულით, ცვლიან პარკეტს, ანგრევენ ტიხრებს, გადააკეთებენ ლოჯიებს, საბაზანოებს, აივნებსა და ა. შ. ყოველივე ეს რომ არ მოხდეს, მომავალ ახალმოსახლეებთან მიღწეული მორიგებით რუსთავის სამშენებლო სამმართველო ახლა მზად არის სახლის ნაწილი, მისი ცალკეული ბინები ჩააბაროს ახალმოსახლეებს სამუშაოთა დამთავრებამდე. შეთანხმება ოფიციალურად ფორმდება.

— უფრო დაწვრილებით ხომ არ გვიამბობდით, თუ როგორ ხდება ყოველივე ამის გაფორმება?

— თუ სახლი კოოპერატიულია, უნდა მოიწვიონ კოოპერატივის წევრთა საერთო კრება და გააფორმონ ოქმი იმ სამუშაოთა ნუსხით, რომელთა შესრულებას საკუთარი სახსრებით კისრულობენ მცხოვრებლები.

—როგორ უყურებს ყოველივე ამას საქალაქო საბჭოს აღმასკომი? ხომ არ იქმნება დამატებითი პრობლემები მისი მხრიდან?

— რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომი მომავალი მცხოვრებლების ოფიციალური თანხმობის საფუძველზე ობიექტის სავარაუდო დამთავრებამდე სულ ცოტა ოთხი თვით ადრე მოიჯარეს გადასცემს იმ ბინებისა და სამუშაოთა სახეობების დაზუსტებულ ნუსხებს.

—ობიექტის საექსპლოატაციოდ მიღებამდე მოიჯარე ვალდებულია დაამთავროს პროექტითა და ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ყველა სამუშაო — თბოგაზ — და წყალმომარაგების, კანალიზაციის გარეთა ქსელების გაყვანის თბოფიკაციის, რადიოფიკაციის, კეთილმოწყობის, სალიფტო მეურნეობის ,სადარბაზოების, საერთო სარგებლობის სხვა ადგილების აღჭურვის სამუშაოები. ბინების საექსპლოატაციოდ გადაცემამდე კი მობინადრეს ნება ეძლევა თავის ხარჯზე შეცვალოს ბინის შესასვლელი კარი, შეასრულოს სხვა სამუშაოები მშენებლებთან შეთანხმებით. ამავე დროს, ახალმოსახლეებს ეკრძალებათ შეიტანონ რაიმე ცვლილებები შენობის არქიტექტურულ იერსახეში, შეცვალონ ბინების არქიტექტურულ-დაგეგმარებითი პრინციპები, დაარღვიონ გეომეტრიული ზომები, ზიანი მიაყენონ ნაგებობის სიმტკიცეს.

— ბატონო ჯაბა, რას ხმარდება დაზოგილი საშენი მასალები და სახსრები?

— დაზოგილი სახსრების ოდენობის განსაზღვრა ხდება დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის, დადგენილი ნორმებისა და საფასურების თანამად. დაზოგილი სახსრები რჩება შემკვეთის განკარგულებაში და გამოიყენება საბინაო მშენებლობის ახალი ობიექტების აგებისა და მისი ბაზის განვითარებისათვის. მთელი ანგარიშსწორება ხორციელდება შესაბამისი ბანკის მეშვეობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გასულ შაბათს მუშაობა დაამთავრა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მე-11 მოწვევის მე-16 სესიამ. ორდღიანი მუშაობის შემდეგ მიღებულ იქნა საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატების საარჩევნო კანონი, რომელიც საშუალებას მოგვცემს პირველად ჩვენს ისტორიაში ავირჩიოთ ნამდვილად დემოკრატიული, მრავალპარტიული ეროვნული პარლამენტი, რომელსაც მერე ერისთვის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების მიღება დაეკისრება. რაც შეეხება მასალებს ამ სესიის ისტორიული მნიშვნელობის შესახებ, ჩვენ მათ უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.










ჯემალ კასრაძის ფოტოები.

ქ. თბილისის მერაბ კოსტავას ქუჩის № 43-ის მცხოვრებლები აგერ უკვე რამოდენიმე წელიწადია მოწმენი ვართ ჩვენი ბინის სარდაფში მიმდინარე რემონტისა. აქ საქმიანობას ეწეოდნენ ჯერ კომკავშირის რაიკომის მესვეურები, შემდგომ სახალხო განათლების დარგობრივი პროფკავშირი. რემონტი ამჟამად დასრულდა და გაირკვა, რომ სარდაფში ჩაფიქრებულია პედაგოგთა კლუბის გახსნა თავისი კაფე-ბარითა და ვიდეოსალონით. ჩვენ, სახლის მაცხოვრებლები შეშფოთებულები ვართ ამ ფაქტით, რადგან მიგვაჩნია, რომ ჩვენს სარდაფში ასეთი დანიშნულების ობიექტის გახსნა (ვისთვისაც არ უნდა იყოს გათვალისწინებული იგი) კიდევ უფრო დაარღვევს ისედაც დარღვეულ მყუდროებას, რომ არაფერი ვთქვათ იმ არასასიამოვნო შედეგებზე, რომელიც მოჰყვება ამგვარი ტიპის „გართობებსა“ და დროის ტარებას.

აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ სახალხო განათლების დარგობრივ პროფკავშირებს უნდა აეკრძალოს ხსენებული ობიექტის ექსპლუატაცია. განათლების პროფკავშირების უშუალო მოვალეობა, ჩვენი აზრით, ჯერ სკოლისა და სხვა საგანმანათლებლო ობიექტების მოვლა-პატრონობა და სათანადო დონეზე ყოფნა უნდა იყოს და არა გასართობად გათვალისწინებული კაფე-ბარების რემონტში ასიათასობით მანეთის ხარჯვა.

ვთხოვთ, შესაბამის ორგანოებს, უყურადღებოდ ნუ დატოვებენ ჩვენს აზრს, ხოლო ხსენებული სარდაფი დაეთმოს საქველმოქმედო ასოციაცია „აღორძინებას“, რომლის საქმიანობაც უშუალოდ ემსახურება საქართველოს ინტერესებს.

**მ. კოსტავას ქუჩის № 43-ის მცხოვრებლები:**

**სულ 28 ხელმოწერა**

# წერილები რედაქციას

დიდი ინტერესით გავეცანით თქვენი გაზეთის 7 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულ ზურაბ მაისურაძის წერილს „საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო და საბაჟო სამსახური“.

თავს აღარ მოგაწყენთ საბაჟო სამსახურის როლზე და დანიშნულებაზე ისტორიული ექსკურსებით. ვიტყვით მხოლოდ, რომ დღიდან სახელმწიფოს წარმოშობისა არსებობს საბაჟო სამსახურიც. სახელმწიფო საბაჟო სამსახურის უმთავრეს მიზანს ნებისმიერ ისტორიულ ეპოქაში წარმოადგენდა და წარმოადგენს ერის პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების დაცვა. რომ არაფერი ვთქვათ მოსახლეობის ჯანმრთელობის, ეროვნული ტრადიციებისა და მორალის დაცვაზე. ამიტომაც, სრულიად სამართლიანად აღნიშნავს ავტორი, რომ ეროვნული საბაჟო სამსახური ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტთაგანია.

ვინაიდან ქართველი ერის მისწრაფება დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენისათვის სულ უფრო ნათლად იკვეთება, არ შეიძლება, უგულებელვყოთ ისეთი საკვანძო მომენტი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტისაკენ წინსვლის გზაზე, როგორიცაა ეროვნული საბაჟოს შექმნა. თუკი საქართველოს დამოუკიდებლობა რეალური, სამართლიანი, განხორციელებადი მიზანია, რაში ეჭვიც არ გვეპარება, აუცილებლად მიგვაჩნია უკვე დღეს გადაიდგას კონკრეტული ნაბიჯები ეროვნული საბაჟოს შექმნის გზაზე. რამეთუ შეუძლებელია ვილაპარაკოთ დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობაზეც კი საკუთარი საბაჟო სისტემის გარეშე.

მართლაც რომ არას გვარგებს საქმის გადადება. ვეთანხმებით ბატონ ზურაბს იმაშიც, რომ პირველი ეტაპი ეროვნული საბაჟო სამსახურის შექმნის გზაზე შეიძლება გახდეს სსრკ სახელმწიფო საბაჟო კონტროლის მთავარ სამმართველოს დაქვემდებარებაში მყოფი სსრკ სახელმწიფო საბაჟო კონტროლის საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დაქვემდებარებაში გადასვლა.

ჯერ ერთი; იქნებ უმჯობესი იყოს ამჟამად არსებული, აგრეთვე შექმნის პროცესში მყოფი მართვის სტრუქტურების გამოყენება ეროვნული საბაჟოს შესაქმნელად, ვინემ ყველაფერი თავიდან დაიწყება. და მეორე, ჩვენი აზრით, არანაკლებ მნიშვნელოვანი გარემოება, შესაძლებლობა გვეძლევა თავდაპირველად ნაწილობრივ მაინც შევზღუდოთ ცენტრის ყაჩაღური პოლიტიკა, რაც საქართველოს საბაჟოების მიერ გამომუშავებული ვალუტის უზოდიშოდ მითვისებაში გამოიხატება და ეს ხდება მაშინ, როცა საქართველო ასე მწვავედ განიცდის კონვენტირებული ვალუტის საჭიროებას, როცა არსებული ხელისუფლება უცხოური ვალუტის მოსაპოვებელი გზების ძიებაში ერთობ საეჭვო და საქართველოს მომავლისათვის იქნებ დამღუპველ ე. წ. „ერთობლივი საწარმოების“ შექმნის კურსს ადგას.

მოგეხსენებათ ჩვენი ეკონომიკის სავალალო მდგომარეობა. ფაქტობრივად საქართველოს არც გააჩნია საკუთარი ეკონომიკა. იგი უნდა შევქმნათ და შევქმნათ უმოკლეს დროში, თანაც აუცილებლად საკუთარ პოტენციალზე დაყრდნობით. მიგვაჩნია, რომ დასავლეთის მაღალგანვითარებულ ქვეყნებთან არათანასწორუფლებიანი სავაჭრო-ეკონომიკური გარიგებანი უახლოეს მომავალში ქართული ეკონომიკისა და ქვეყნის პოლიტიკური სუვერენიტეტისათვის ძირგამომთხრელ ფაქტორად იქცევა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ზოგანნი ცდილობენ ამღვრეულ წყალში თევზის დაჭერას. თითქოსდა საქართველოს საკეთილდღეოდ, სინამდვილეში კი საკუთარ ჯიბეთა გასქელებაზე ზრუნვა, საქართველოს დღევანდელი მძიმე სოციალური ვითარებითა და არასტაბილური პოლიტიკური სიტუაციით სარგებლობა მაშინ, როცა განმკითხავი არავინაა, ჩვენი აზრით, სხვა არაფერია, თუ არა ერის ინტერესებისადმი ღალატი.

თავის წერილში ზურაბ მაისურაძე ეხება აგრეთვე აფხაზეთში საბაჟოს გახსნის ვითარებას და გარემოებებს. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული საკითხი მოითხოვს დაზუსტებას. მიუხედავად იმისა, რომ ეს ცალკე საუბრის თემაა, მოკლედ შეიძლება ითქვას შემდეგი.

დიდი ხანია მომწიფდა საკითხი აფხაზეთში, კერძოდ ქ. სოხუმში ჩვენი საბაჟოს ბაზაზე საბაჟო საგუშაგოს გახსნის შესახებ. სულ უფრო მზარდი და ინტენსიურად განვითარებადი ურთიერთობანი საზღვარგარეთის ფირმებთან, რაც გამოიხატება: ერთობლივი საწარმოების შექმნით, საგარეო ვაჭრობაში კოოპერატივების ჩართვით, ორგანიზაციების პირდაპირი კავშირურთიერთობებით და ა. შ. ობიექტურად ქმნიან პირობებს საქართველოს ტერიტორიაზე საბაჟო სისტემის შემდგომი განვითარებისათვის, ახალი საბაჟოების გახსნის მიზანშეწონილობას და სხვა. მოკლედ რომ ვთქვათ, ახალ პირობებში მუშაობა მოითხოვს საბაჟო კონტროლის გამკაცრებას და სხვა გადაუდებელ ღონისძიებათა გატარებას საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების დასაცავად.

ვინაიდან ჩვენი საბაჟო მომსახურეობას უწევს უზარმაზარ ტერიტორიას (მთელ დასავლეთ საქართველოს, აჭარის გარდა) შეცვლილ ვითარებაში ვერ ვახორციელებთ სათანადო კონტროლს აღნიშნულ რეგიონებში; კადრების ნაკლებობის, ოპერატიული დანიშნულების მანქანების და ტექნიკური აღჭურვილობის დეფიციტისა და კავშირგაბმულობის არაეფექტური მუშაობის გამო.

თავის დროზე ადგილი ჰქონდა აფხაზეთის პარტიის საოლქო კომიტეტის მხრიდან უხეშ ჩარევას და ზეგავლენის მოხდენის ცდებს საბაჟოს საკადრო პოლიტიკაზე, რაც ძირშივე იქნა აღკვეთილი საბაჟოს ადმინისტრაციის და პირადი შემადგენლობის ერთსულოვნებისა და აქტიური პოზიციის გამო. ამ დავაში ცენტრმა შემრიგებლური პოზიცია დაიკავა და საბაჟოს გახსნა ქალაქ სოხუმში გადაიდო გაურკვეველი ვადით. ეს პრობლემა დღესაც გადაუჭრელია, არა და დრო აღარ ითმენს.

ვფიქრობთ, რომ დამოუკიდებელი ქართული საბაჟო სამსახურის შექმნის გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯები, კერძოდ, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსადმი საქართველოს საბაჟო სამმართველოს დაქვემდებარება ნაწილობრივ მაინც მოხსნის ზემოთაღნიშნულ პრობლემებს.

**რევაზ ჩაგანავა,**
**კახა გოგრონიძე,**
**ფოთის საბაჟოს თანამშრომლები.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შტრიხები ე. წ. „მესხეთელი თურქების“ და მათი ლიდერის იუსუფ სარვაროვის პორტრეტისათვის

ახლა, როცა მრავალჭირნახულ საქართველოს ისედაც რთულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას ე. წ. „თურქი მესხების“ პრობლემაც დაერთო, ბუნებრივია ბევრს წერენ მასზე. მაგრამ, რატომღაც, არავინ ფიქრობს ღრმად ჩასწვდეს, თუ რას ისახავდა მიზნად 1944 წლის ეს აქცია, რატომ მოხდა მესხეთის რაიონებიდან თურქი და თურქული ორიენტაციის მოსახლეობის გადასახლება შუა აზიის რესპუბლიკებში.

რჩება შთაბეჭდილება, თითქოს ი. სტალინი ღამით ნანახ ცუდ სიზმარს აჰყვა და დილით მესხეთის რაიონებიდან ე. წ. „თურქი მესხების“ გადასახლების ბრძანება გასცა. არ იხსენებენ იმას, თუ ამ აქტის განხორციელებამდე რატომ გამოქვეყნდა გაზეთ „კომუნისტში“ აკადემიკოსების ს. ჯანაშიას და ნ. ბერძენიშვილის ვრცელი წერილი თურქეთის მიერ მიტაცებული ქართული მიწების შესახებ, რატომ დაწერა ი. მოსაშვილმა „ჩაძირული ქვები“ და რატომ დადგა რუსთაველის თეატრმა პიესა ამავე სახელწოდებით.

ყოველივე ეს და ამ საკითხთან დაკავშირებულ ბევრ სხვა „რატომ“-ზე პასუხის გაცემა ცალკე საუბრის თემაა, რომელზედაც, ალბათ, იტყვიან თავის დროზე. მე კი მხოლოდ იმით შემოვიფარგლები, რისი უშუალო მოწმეც ვარ და რა საკითხთანაც მქონდა შეხების წერტილი ჩემი სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს. მოხდა ისე, რომ ცხოვრებამ ორჯერ შემახვედრა ამ პრობლემასთან — პირველად 1945 წელს, როცა მესხეთის რაიონებიდან თურქების გადასახლებიდან სულ რამდენიმე თვეში კომკავშირის ახალციხის რაიკომის მდივნად ამირჩიეს და მეორედ, აგერ 80-იან წლებში პარტიის ზუგდიდის რაიკომის მდივნად მუშაობისას.

უპირველეს ყოვლისა თვით ტერმინის — „თურქი მესხების“ შესახებ. საიდან მოვიდა ეს ტერმინი? ვინ გამოიგონა იგი? სიტყვები: თურქი და მესხი გამორიცხავენ ერთიმეორეს. თუ თურქია, მაშინ მესხი არ არის, ხოლო თუ მესხია, მაშინ თურქი არ არის. ეს ცხადზე უცხადესია. უწინდელ მესხეთ-ჯავახეთში ბევრი სომეხი და რუსი ცხოვრობს, მაგრამ არავინ ამბობს სომეხი მესხი ან სომეხი ჯავახი, რუსი მესხი ან რუსი ჯავახი, მესხი ისეთივე ქართველია, როგორც იმერელი, ქართლელი, მეგრელი და სხვ. სომეხი სომეხია, რუსი რუსია, მიუხედავად იმისა, საქართველოს რომელ კუთხეში იცხოვრებენ ისინი. ეს აქსიომაა და ამას მტკიცება არ სჭირდება.

„თურქი მესხები“ თურქებმა თვითონ უწოდეს თავიანთ თავს, ჩათვალეს რა, რომ ეს უფრო მომგებიანია საქართველოში დასაბრუნებლად, ხოლო საკავშირო პრესას მეტი რაღა უნდოდა, დაამკვიდრა ტერმინი, რომელსაც ჭეშმარიტებასთან არაფერი აქვს საერთო.

ახლა იმის შესახებ, გასახლებულთა შორის იყვნენ თუ არა ისეთებიც, რომლებიც ოდესღაც ქართველები იყვნენ, ჰქონდათ ქართული გვარებიც, მაგრამ მიზეზთა გამო გათურქდნენ? დიახ, იყვნენ ასეთები, მაგრამ იმდენად უმნიშვნელო რაოდენობით, რომ მათ ახლა იმ 400-ათასიანი თურქი მასისაგან ვერავინ გამოარჩევს. არადა, ყველა თურქი ძირძველ მესხობას იჩემებს გასაგები მიზეზის გამო. ასეთ დროს, რომ აღმოაჩინო მათში თუნდაც ერთი ქართული წარმომავლობის კაცი და ჩამოასახლო, ყველა 400 ათასი თურქი აქ ჩამოსვლას მოისურვებს.

ეს ფაქტია და ამის უარყოფას, მგონი, რომ აზრი არა აქვს. ეს შესანიშნავად ჩანდა ტელემასალაში, რომელიც ამ თემას ეძღვნებოდა და ამ ცოტა ხნის წინათ აჩვენეს. ანალოგიურ სურათებს 1945 წლიდან 1948 წლამდე ყოველდღიურად ვხვდებოდი ახალგაზრდა მესხებს ისეთ ნაღდ მესხურ სოფლებში, როგორიცაა ვალე, მუსხი, ანდრიაწმინდა (ახალციხის რაიონში), უდე და არალი — (ადიგენის რაიონში) -თურქების გადასახლების ცხელ კვალზე კიდევ უფრო შთამბეჭდავად ლაპარაკობდნენ ისინი გასახლებულთა მეტისმეტად საძრახ საქმეებზე.

ის, რაც ეკრანზე ვნახეთ უდავოდ შთამბეჭდავია, მაგრამ იგი მთლიანად მაინც ვერ ასახავს მესხების იმ აღშფოთებას, რასაც მე ჩავუსწარი ახალციხეში და 4 წლის განმავლობაში ყოველდღიურად ვისმენდი ნაწილ-ნაწილად.

რაც შეეხება ზუგდიდის ეპიზოდს: იმჟამად ჩემთან თბილისიდან ჩამოდიოდნენ გასახლებული თურქების გულშემატკივრები და გულმოდგინედ ცდილობდნენ დაემტკიცებინათ თავიანთი სიმართლე, რათა ფართოდ გაეღო რაიონის კარი თურქების ჩამოსასახლებლად. ამას მოჰყვა მთავრობის ოფიციალური ორგანოებიდან ტელეფონების ზარები და წერილები. დიდი იყო მოსკოვის დაწოლა და მე ამას ვგრძნობდი.

თავდაპირველად იყო მითითება, რომ ისინი ჩაგვესახლებინა ისეთ საბჭოთა მეურნეობებში, სადაც მუშა ხელი გვაკლდა და საერთო საცხოვრებლები კი გვქონდა. ასეც მოვიქეცით, მაგრამ შემდეგ ეს მითითება იმით შეიცვალა, რომ საერთო საცხოვრებლების ნაცვლად ინდივიდუალური სახლები უნდა აგვეშენებინა. ამასთან დაკავშირებით ჩავედი ხეცერისა და ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობებში, სადაც ისინი ცხოვრობდნენ. შევხვდი მათ და მათ ლიდერს იუსუფ სარვაროვს.

აღსანიშნავია, რომ ისინი ინდივიდუალური სახლების აშენების საკითხს საკმაოდ გულგრილად შეხვდნენ. ეს, ცოტა არ იყოს, გამიკვირდა კიდეც, მაგრამ საუბარში მალე გაირკვა, რომ ისინი არ აპირებენ საბოლოოდ ზუგდიდში დარჩენას. მათ თბილისელი გულშემატკივრები არწმუნებდნენ, რომ ზუგდიდის, ოზურგეთის, სამტრედიის, ჩხოროწყუს და ხონის რაიონებში დროებით არიან და საბოლოოდ გზა მესხეთისკენ უდევთ.

როცა მე ავუხსენი, ეს გამორიცხულია-მეთქი, მაშინ მათმა ლიდერმა იუსუფ სარვაროვმა ასეთი ულტიმატუმი წამომიყენა — **ჯერ მეჩეთი აგვიშენე და მერე საცხოვრებელი სახლებიო.** როცა ამაზე, რაღა თქმა უნდა, უარყოფითი პასუხი მიიღო, მოითხოვა ჩაგვესახლებინა არა განაწილების მიხედვით, არამედ ერთად, კომპაქტურად, მეტი რაოდენობით. გასაგებია, რას ისახავდა მიზნად ასეთი მოთხოვნა (მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ თითოეულ კომლში 8, 10, 12, სული იყო). რა თქმა უნდა, ასეთ მოთხოვნასაც წინ აღვუდექით, მაგრამ ი. სარვაროვი ყოველი ღონისძიებით ცდილობდა მოეხდინა ჩვენზე ზემოქმედება.

...რა გასაკვირია, რომ იგი არ შეპუებოდა რაიონის ხელმძღვანელებს, როცა უჩიოდა პოლიტბიუროს წევრს, ყაზახეთის კომპარტიის ცკ-ის მაშინდელ მდივანს კუნაევს და როგორც ვიცი ათას უბედურებაში სდებდა ბრალს: ამის შესახებ მე მესაუბრა სკკპ ცკ-ის პასუხისმგებელი მუშაკი, ამხანად ჩვენი რესპუბლიკის კურატორი კარაბეინიკოვი და დამავალა გამომეძახა ი. სარვაროვი და მეთქვა მისთვის, რომ მისი გაუთავებელი საჩივრები კუნაევზე მასთანაა და სწავლობენ მას, მაგრამ, იგი არავის შეგონებას არ აგდებდა არაფრად და დაჟინებით მოითხოვდა თურქების საქართველოში ჩასახლებას.

ჩემთვის ცნობილია ისიც, რომ იგი დააპატიმრეს კიდეც და ერთხანს სასჯელსაც იხდიდა, მაგრამ სასჯელის მოხდის შემდეგაც კაცი, რომელსაც ორი წიგნი არა აქვს ბოლომდე წაკითხული, არ ეშვება მესხეთის რაიონებიდან გადასახლებული თურქების — ძირითადად მათი შთამომავლების (რადგან 1944 წელს გადასახლებულთაგან ცოტაღა თუ დარჩა) ლიდერობას.

როცა ამას წინათ ტელეეკრანიდან კვლავ მის აბსურდულ მსჯელობას ვისმენდი (მაშინ, როცა ქართველების ძმობას ფიცულობდა კაცი, რომელიც შუა სამეგრელოში, ჩემს მშობლიურ სოფელში მეჩეთის აშენებას გვთხოვდა), მინდოდა მისთვის და მისი ამალისათვის მეთქვა ახალციხის რაიონის ძირძველი მესხებისაგან დიდი ხნის წინათ არაერთხელ გაგონილი იმის შესახებ, რომ ისინი, ვინც 1944 წელს გაასახლეს, ქართველი ხალხის ძმები კი არა, მტრები ხართმეთქი, რადგან კარგადაა ცნობილი, თუ როგორ ავიწროებდნენ ისინი ქართველებს, ჰპარავდნენ პირუტყვს, აუპატიურებდნენ ქალებს და არც მუხანათურ მკვლელობას ერიდებოდნენ. მადლობა ღმერთს, რომ ამის მთხრობელები დღესაც ცოცხლები არიან მესხეთის ძველ სოფლებში და არც მეხსიერებას უჩივიან. ეს კარგად გამოჩნდა ტელემასალაშიც, რომელზედაც ზემოთ უკვე ვთქვი.

ასე მარტო მე არ განვსჯი. ანალოგიური აზრი გამოითქვა ქართული პრესის არაერთ პუბლიკაციაში და რა სამწუხაროა რომ დღეს ზოგიერთები, რომლებიც ერის საკაცობაზე დებენ თავს, მხარს უჭერენ მათ დაბრუნებას საქართველოში, რაც ჩემის ღრმა რწმენით უნდა გამოირიცხოს ყოველი ღონისძიებით, რამეთუ 400 ათასი თურქის ჩამოსახლება საქართველოში, ეს იქნება მისი ბიოგრაფიის დასასრული, რითაც წერტილი დაესმება როგორც დამოუკიდებელ, ისე დამოკიდებულ საქართველოს. ამას კი მხოლოდ ქართველი ერის მოღალატეები თუ ისურვებენ.

**ივლიანე თოდუა**

---

**როგორც უკვე ვიუწყებოდით, ამა წლის 30 ივნისს გაიმართა სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული ინვალიდთა ასოციაციის საგანგებო კონფერენცია, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება, რომ ასოციაცია გამოეყოს რუსთაველის საზოგადოებას და ამიერიდან იწოდებოდეს შემდეგნაირად: „სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირი (ინვალიდთა ასოციაცია)“.**

**კავშირის (ასოციაციის) სადღეისო პრობლემებთან დაკავშირებით კავშირის (ასოციაციის) პრეს-ცენტრის ხელმძღვანელი ლია გეჭაური ესაუბრა კავშირის (ასოციაციის) პრეზიდენტს ზაზა სიხარულიძეს.**

# ღვთისშვილთა კავშირი მწვავე პრობლემათა წინაშე

**— ზაზა, ჩვენი საუბარი მსურს დავიწყო არა იმ დამსახურებათა აღნიშვნით, რითაც შეუძლია სამართლიანად იამაყოს სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირმა (ინვალიდთა ასოციაციამ), არამედ იმ პრობლემათა წარმოჩინებით, რასაც კავშირი (ასოციაცია) აწყდება თავის მრავალმხრივ, უაღრესად ეროვნულ და კეთილშობილურ საქმიანობაში...**

— კეთილი. საუბრის ამგვარი დასაწყისი უშუალოდ ესადაგება ჩვენი ორგანიზაციის მუშაობის სტილისა და პირადად ჩემი ხასიათის თავისებურებას. მართალი და გულწრფელი სიტყვა ჩვენი კავშირის ხელმძღვანელობისათვის თითქმის ერთადერთი ძლევამოსილი, ნაცადი იარაღია იმპერიული ბიუროკრატიულ-ადმინისტრაციული სისტემის ჯერაც შეურყეველი მბრძანებლობითა და „ჩრდილოვანი“ ეკონომიკით დასნეულებულ ჩვენს საზოგადოებაში. ამგვარ ვითარებაში ხალხისა და ქვეყნისათვის მეტნაკლებად სასარგებლო იდეის პრაქტიკულად განხორციელება თავიდანვე აწყდება ნორმალური გონებისა და ფსიქიკისათვის უჩვეულო, წარმოუდგენელ სიძნელეებს, ვგულისხმობ კორუფციას, მაფიოზურ მოვლენებს, პროტექციონიზმსა და მისთ. ყოველივე ეს შემზარავად მთლიანდება და შთამბეჭდავად სახიერდება ერთი მრავლისმთქმელი სიტყვით: **უხულგულობა...**

ამასთან, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ ჩვენი ორგანიზაცია შექმნისთანავე მტკიცედ დადგა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოზიციებზე, რასაც ლოგიკურ შედეგად მოჰყვა ჯერ ჩემი არჩევა ეროვნული ფორუმის წევრად, ხოლო შემდეგ — ჩვენი ორგანიზაციის კოლექტიურად გაწევრიანება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკოორდინაციო ცენტრში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ზოგ-ზოგნი (და ისინი, სამწუხაროდ, საკმაოდ ბევრნი არიან), ვისაც ხელს არ აძლევს ჩვენი ორგანიზაციის ამგვარი საქმიანობა, ყოველნაირად ცდილობენ ჩვენი კავშირის დისკრედიტირება-კომპრომეტირებას, ისინი საამისოდ მარჯვედ იყენებენ ღვთისშვილთა მოძრაობას მიტმასნებულ პირებს, მათ შორის, სამწუხაროდ, თვით ინვალიდებსაც. ზოგი უკანასკნელთაგანი ჩვენი ორგანიზაციის ამა თუ იმ რანგის სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელობაშიც აღმოჩნდა.

მაგრამ, როგორც ჩანს, ღვთისშვილთა კავშირს თვით განგება სწყალობს და ჩვენ დროულად ვახერხებთ ამგვარ პირთა გამოვლენა-ნეიტრალიზებასა და ღირსებისამებრ მიზღვას.

გარდა ამისა, ჩვენი ორგანიზაციის საქმიანობაზე ნეგატიურად მოქმედებს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში დღეს არსებული განხეთქილება, რითაც მარჯვედ სარგებლობს ბიუროკრატიულ-ადმინისტრაციული აპარატი, ადრე ერთგვარი რიდით რომ გვეპყრობოდა, ახლა კი ძალი მოიცა და ჰგონია, ისევ დაბრუნდა (ან მალე დაბრუნდება) ძველი დრო...

მაგრამ ნურავინ ჩაიცინებს ნიშნისმოგებით ნაადრევად. ჩვენ დავძლევთ დროებით სიძნელეებს.

**— რას ემყარება თქვენი ამგვარი რწმენა და განწყობილება?**

— საქმე ისაა, რომ ჩვენი ორგანიზაციის ნერგი კეთილია, ვინაიდან ჩვენ ვემსახურებით, უფალს, მამულს, სიყვარულსა და სათნოებას...

ერთი სიტყვით:

რასაც ვაკეთებთ — პატიოსნებით!

რასაც ვერ ვაკეთებთ — ისევ და ისევ პატიოსნებისა გამო!

რასაც გავაკეთებთ — მხოლოდ და მხოლოდ პატიოსნებით!

**— როგორც ცნობილია, თქვენი ხელმძღვანელობით შემუშავდა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გაეგზავნა უაღრესად დიდმნიშვნელოვან დოკუმენტთა პროექტები: საქართველოს რესპუბლიკის კანონი „ინვალიდთა და მათი ორგანიზაციების შესახებ“, „საქართველოს ინვალიდთა ყოფაცხოვრების ძირეული გარდაქმნის „კონცეფცია“ და „ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პროგრამა“. რა ბედი ეწია მათ?**

— ამ დოკუმენტთა საბოლოო ვარიანტების შესამუშავებლად შექმნილია სამთავრობო კომისია, რომლის საქმიანობასაც კოორდინაციას უწევს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბატონი ვაჟა ლორთქიფანიძე. მაგრამ, სამწუხაროდ, საქმე ძლიერ ჭიანურდება ზემოთაღნიშნულ გარემოებათა გამო. ამასთან, ჩვენ რესპუბლიკის მთავრობას დასამტკიცებლად წარვუდგინეთ სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირის (ინვალიდთა ასოციაციის) შესწორებულ-შევსებული წესდება.

აქვე უნდა დავძინოთ, რომ ჩვენი ბევრი თხოვნა-მიმართვა რჩება სათანადო ორგანოების ყურადღებისა და რეაგირების გარეშე. თუკი ასე გაგრძელდა კიდევ ცოტა ხანს, ჩვენ იძულებული გავხდებით, მივმართოთ მშვიდობიანი პროტესტის გამოხატვის უკიდურეს ფორმებს, თვით შიმშილობის ჩათვლითაც კი.

**— კარგად ვიცი, რომ კავშირის (ასოციაციის) ხელმძღვანელობა და პირადად თქვენ ყურადღებით ეკიდებით და თვალყურს ადევნებთ ავადსახსენებელი 9 აპრილის ინვალიდთა და დაზარალებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობას...**

— საქმე ისაა, რომ ჩვენ ყოველდღე გვიხდება 9 აპრილის ინვალიდთა პრობლემებთან უშუალო კონტაქტი, ვინაიდან ჩვენი კავშირის აპარატში სამი ამგვარი პიროვნებაა. მათი ნაამბობითა და ჩემი თვალით ნახულით ვიცი, რომ მათი მკურნალობის დონე მეტად დამაფიქრებელია, რაშიც ვერ დავადანაშაულებთ ვერც მათ მკურნალ ექიმებს და ვერც რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობას. ისინი ყველაფერს აკეთებენ თავიანთ შესაძლებლობათა ფარგლებში, მაგრამ არ გააჩნიათ სათანადო აპარატურა და მედიკამენტები.

9 აპრილის ინვალიდთა ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე ვიმსჯელეთ ჩვენს საგანგებო კონფერენციაზეც. შეიქმნა სათანადო კომისია, რომელიც ამ დღეებში წარმოგვიდგენს თავის დასკვნებს და ჩვენც მაშინ გადავწყვეტთ საბოლოოდ, თუ რა ვიღონოთ.

**— დაბოლოს, გთხოვთ, გვითხრათ თქვენი აზრი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პრობლემებზე...**

— საბჭოთა იმპერია ვეებერთელა სათეატრო სცენას ჰგავს, სადაც თამაშდება გრანდიოზული სპექტაკლ-ფარსი „თავისუფლება და დემოკრატია ანუ ახალი საკავშირო სამოკავშირეო ხელშეკრულება“ გამოცდილი პოლიტიკური დრამატურგების (ისინი იმავდროულად სპექტაკლის მთავარი პერსონაჟებიც გახლავან) მიერ დაწერილი პიესის მიხედვით.

ამ დროს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ბადებს იდეას, რომლის მსგავსიც უკანასკნელი 70 წლის მანძილზე არც ყოფილა: საქართველოსათვის კოლონიური სტატუსის მოპოვების იდეასი. შემდეგ — ეროვნული კონგრესის იდეა...

სპექტაკლს ჩაშლა დაემუქრა და მთავარი დრამატურგ-პერსონაჟებიც ამოქმედდნენ, ჩვენც ჩვენი, როგორც ჩანს, უკვე გენეტიკური სენისა გამო, „უჩემოდ ვინ იმღერეთა“-ს პრინციპით, ხელი შევუწყვეთ მათ და...

არადა, საქმე უკვე გამარჯვებამდე იყო მისული... ჩვენ კი მარაბდის ომის კომპლექსი ვერ დავძლიეთ...

გულწრფელად უნდა მოგახსენოთ:

ერთადერთი უზენაესის იმედილა დამრჩენია, რადგანაც ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას უფალი ბოლოს და ბოლოს აღირსებს თავისუფლებას...

მე ასე მწამს, ამ რწმენითა და იმედით ვსულდგმულობ...

**ჰონორარი გადაირიცხება სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირის (ინვალიდთა ასოციაციის) ანგარიშზე: საქართველოს რესპუბლიკური ბინსოცბანკის საოპერაციო სამმართველო, ანგარიშის № 000 700 448.**

# ფერეიდნელი ქართველების ჩამოსახლების შუქ-ჩრდილები

## (ისტორიის ერთი ფ[illegible] გახსენება)

[illegible] ტყუილი დაპირებებით [illegible] ნენ. ამის შემდეგ საქართველოს მესვეურები იძულებულნი შეიქნენ, ერთმორწმუნე რუსეთზე შეჩერებულიყვნენ. რუსეთთან კავშირი პირველმა კახეთის მეფეებმა [illegible] შაჰის ჯარებმა 100 000-ზე მეტი ქართველი ამოწყვიტა, „40000 ოჯახი" — 200000 კაცი ტყვედ წაიყვანა, (აქედან 30000-1614 წ.) მათ შორის უმრავლესობა ქალი, ბავშვი და მოხუცი იყო. ისინი ფეხით გარეკეს ირანის შორეულ და ძნელ გზაზე, 2000 კილომეტრამდე მანძილზე. მათ მგზავრობისას თავს დაატყდათ ენით აუწერელი საშინელი ტრაგედია. ბევრი მათგანი, განსაკუთრებით ბავშვები და მოხუცები, გზაში დაიღუპა, მრავალი ტყვე გაიყიდა სპარსეთის მონათა ბაზარზე. შაჰმა გულადი ტყვე ქართველებით შეავსო თავისი „ყულის" (მონათა) და „შაჰისევანის" (შაჰის მეგობრების) ჯარი. ტყვეთა დიდი ნაწილი, როგორც საუკეთესო კულტურული მეურნენი, ირანის სხვადასხვა რეგიონებში — ფერეიდანში, გილანში, მაზანდარანში, ხორასანში, შირაზში, ხოსროვში და სხვაგან დაასახლა.

ფერეიდნელ ქართველებს პირველ პერიოდში ქრისტიანობა შეუნარჩუნეს, მათ აიშენეს საყდრები და წირვა-ლოცვა მიმდინარეობდა. 5 წლის შემდეგ, შაჰის ბრძანებით დაიწყო ირანში გადასახლებული ტყვე ქართველების ძალით გამუსულმანება. მართალია, ქართველებმა წინააღმდეგობა გაუწიეს, ზოგი ამ საქმეს ემსხვერპლა კიდეც, მაგრამ შაჰის ბრძანება სისრულეში იქნა მოყვანილი. ქრისტიანობის შენარჩუნების მიზნით, ქართველთა ერთმა ნაწილმა სომხების სარწმუნოება მიიღო; ეს ქართველები შემდეგში ყველა გასომხდა. ირანში გადასახლებულ ქართველთა ნაწილმა ქართული ენა დაივიწყა და ადგილობრივ მოსახლეობიდან ძნელად გამოსარჩევია. ზოგმა მათგანმა ქართველობის აღნიშვნის მიზნით თავის გრძელ მუსულმანურ გვარს მიუმატა „გურჯი" (ქართველი) და ამით იგი როგორც ქართველი ამაყობს.

ფერეიდანი .იგი ქ. ისპაანიდან 145 კილომეტრით არის დაშორებული, მთა-გორიანი მხარეა; საკმაოდ ვრცელი ტაფობი ირგვლივ უტყეო მაღალი მთებით გარშემორტყმული, მათგან ზოგის სიმაღლე 4000 მეტრს აღემატება (ზღვის დონიდან). მათი სოფლების ნაწილი ტაფობზეა გაშენებული, ნაწილი კი მაღალი მთების ფერდობების ქვემო ნაწილზეა. ამ რეგიონის მთავარი მდინარეა ზენდერუდი, მეორე მდინარეს ფერეიდნელები „დიდხევს" უძახიან. ფერეიდანი დაახლოებით ისეთი მხარეა, როგორიც არის საქართველოში თიანეთის რეგიონი.

ქართველების ფერეიდანში დიდი რაოდენობით დასახლების ერთი მთავარი მიზანი ისიც იყო, რომ მათ ქალაქი ისპაანი დაეცვათ სამხრეთის მხრიდან ბახტიარების თავდასხმისაგან.

ფერეიდანში შემონახულია 14 ქართული სოფელი (თუმცა აქ ადრე 30-მდე სოფელი ყოფილა): 1. ზემო მარტყოფი, 2. ქვემო მარტყოფი, 3. რუისპირი-რუსთავი, 4. თელავი, 5. დაშქესანი, 6. ახჩა, 7. ბოინი, 8. შავსოფელი, 9. ჯაყჯაყი, 10. ვაშლოვანი, 11. ჩუღურეთი, 12. ნინოწმინდა, 13. შანაათი, 14. დესური.

ფერეიდანში და ირანის ზოგიერთ მცირე რეგიონში ქართველებმა დღემდე შეინარჩუნეს ნაციონალური თვითშეგნება, მშობლიური ქართული ენა, ქართული ზნე-ჩვეულება. ყველა საშუალებით ცდილობდნენ მშობლიურ საქართველოში დაბრუნებულიყვნენ. გულად ფერეიდნელთა რჩეულმა ვაჟკაცებმა გადაწყვიტეს მშობლიურ საქართველოში დაბრუნებულიყვნენ. 1654 წლის 17 აპრილს ცხენოსანთა ეს რაზმი, 165 კაცი, მათ შორის ერთი 12 წლის ყმაწვილი, გამოიპარა; ადგილობრივმა ხელისუფლებამ გაუგო, მათ ჯარის ნაწილი დაახვედრეს, ყველა ქართველი მტერს შეაკვდა.

ფერეიდანში დღეისათვის 50.000-მდე ქართველი ცხოვრობს. უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოში დაბრუნებაზე დაახლოებით 40000 კაცი (6.667 ოჯახი) მაინც გამოთქვამს სურვილს. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ირანის სხვა პროვინციებში ქართველებით კომპაქტურად დასახლებული სოფლები არსებობს, მათ ქართული ენა აღარ იციან (მცირე გამონაკლისის გარდა), მაგალითად, ისპაანის ახლოს ნეჯაბადში არის ერთი უბანი, რომელსაც „ქართველების უბანს" („გურჯი მაჰალას") უწოდებენ; როგორც შირაზის, ისე ქირმანშაჰს ახლოს ყოფილა თითო ქართული სოფელი; ხორასანთან (მეშხედი) არსებობს რამდენიმე ქართული სოფელი, თეირანის სამხრეთით 25 კილომეტრზე, ვერამინთან ყოფილა ქართული სოფელი; ჰამადანის ახლოს არსებობს ქართული სოფელი (გადმოცემით მათ ქართული ენა იციანო). გილანში ყოფილა „ქართველის უბანი" — სოფელი, სადაც 400 კომლი ქართველი ცხოვრობსო. მართალია მათ ქართული ენა არ იციან, ის კი ყველამ კარგად იცის, რომ ქართველები არიან. ისინი ყველას ეუბნებიან — „ჩვენ ქართველები ვართ".

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ შაჰაბასმა ირანში 100000-მდე სომეხი გადაასახლა; მათთვის სარწმუნოება არ წაურთმევია, როგორც ვაჭრობის მიმდევარი ხალხისთვის. ქართველების ძალით გამაჰმადიანებისას ზოგმა მათგანმა სომხეთა სარწმუნოება — „გრიგორიანობა" მიიღო, რომლებიც მომდევნო პერიოდში გასომხდნენ. ამის შესახებ ცნობებს გვაწვდის ემიგრანტი ბექან გიორგაძე (მესხი ქართველი ქ. ვალედან). 1937 წელს ბ. გიორგაძე ირანში შეხვდა გასომხებულ ქართველებს: აბადანში, ახვაზში, თეირანში, ხოზისტანში და სხვა პროვინციებში. ბ. გიორგაძეს, ინჟინერ ვარაზაშვილთან ერთად, თეირანიდან ახვაზამდე რკინიგზა გაჰყავდა, სადაც გასომხებულ ქართველებს ამუშავებდა. მათ ქართული აღარ იცოდნენ, მხოლოდ ის კი კარგად იცოდნენ, რომ ქართველები იყვნენ — „გურჯები ვართ, გავსომხდით ქართველების გასპარსების დროს"; ისინი მუსულმან ქართველებს პატივისცემით ეპყრობოდნენო.

ზემოხსენებული 50000 ფერეიდნელი ქართველის გარდა, ალბათ, ერთი ამდენი (თუ მეტი არა) ირანის სხვა რეგიონებში ცხოვრობს. საჭიროა საქართველომ მათზეც იზრუნოს. ამ მიზნით უნდა მოეწყოს სათანადო კომპლექსური ექსპედიცია. უნდა დამყარდეს ახლო კავშირი ირანში არსებულ ქართულ, აგრეთვე გასომხებულ ნაქართველარ სოფლებთან. მოხდეს საუბრების ჩატარება ფერეიდნელ ქართველებთან, მათი წარმომადგენლების შეხვედრა და ბოლოს თუ სურვილს გამოთქვამენ, მათი საქართველოში ჩამოყვანა, ან მათი შვილების საქართველოს სასწავლებლებში (ინტერნატებში, სპეცსასწავლებლებში, უმაღლეს სასწავლებლებში) მოწყობა, ქართული განათლების მიღების შემდეგ კვლავ ირანში, მშობლებთან დაბრუნება...

374 წლის მანძილზე იყო ორმხრივი დიდი სურვილი, რომ ტყვე ფერეიდნელი ქართველები საქართველოში დაბრუნებულიყვნენ. მრავალჯერ მოხდა, როგორც ფერეიდნელი ქართველების სტუმრად ჩამოსვლა საქართველოში, ისე საქართველოდან რამდენიმე ქართველის ირანში — ფერეიდანში ჩასვლა. იქ მცხოვრები ქართველების გაცნობა და შთაბეჭდილებების გამოქვეყნება, ღონისძიებების დასახვა, მაგრამ ყველა ცდა მათი ჩამოსახლებისა უშედეგოდ რჩებოდა.

ფერეიდნელი ტყვე ქართველების (და ირანში მყოფი სხვა ქართველების) შესახებ, ალბათ ცნობები საქართველოში ექნებოდათ. ამის ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტია XVIII ს. დასასრულისა და XIX ს დასაწყისის ცნობილი ისტორიული პირთვნების იოანე (იონა) ხელაშვილის ლოცვის ტექსტი: „ეძიე (ადონაი უფალო) სისხლნი ივერიისა, დანთხეულნი მირიან მეფისაგან ვიდრე აქამომდე, და გამოიყვანე ერი იგი (ქართველი) ფერეითიდგან". ცხადია, ამ ლოცვას მრავალი ქართველი კითხულობდა — ისმენდა ფერეიდნელი ქართველების ამბავს, მაგრამ იმ დროს მათთვის დახმარების აღმოჩენა თითქმის შეუძლებელი იყო. ამის შესაძლებლობა XIX საუკუნის ბოლო მეოთხედიდან შეიქმნა, მისვლა-მოსვლაც ხერხდებოდა.

საქართველოში სტუმრად ჩამოსულ ფერეიდნელ ქართველებს მაშინდელი ქართველი საზოგადოება დიდი სიხარულით და სიყვარულით ღებულობდა. აი, მათი არასრული სია : 1871 წელს საქართველოში ჩამოვიდა იოთამ ონიკაშვილი, 1896 წელს — ყოლამ-რეზა ხუციშვილი, ყოლამ ჰოსეინ ონიკაშვილი, 1900-1902 წწ. — მოჰამედ მაყაშვილი და მისი სიძე ნასრულა, 1907 წელს (მაისში) — ხუციშვილი, ონიკაშვილი, 1922 წელს — სეიფულა იოსელიანი. ბოლოს ახლო დროში საქართველოში სტუმრად ჩამოვიდნენ: 1979 წელს — აბისალი ზამანინი (ზამანაშვილი), 1986 წელს — ფარანგისა ონიკაშვილი ქმარ-შვილებით, 1989 წელს — აბისალი ზამანინი (ზამანაშვილი და ჰამად ბათუანი (ბათუაშვილი), ხოლო საქართველოდან ირანში სტუმრად არავინ გაუშვეს...

მხოლოდ 1895 წელს პირველი ქართველი, ვლადიმერ აღნიაშვილი, ჩავიდა ფერეიდანში. მან ირანში და ფერეიდანში მოგზაურობის შესახებ წერილი საქართველოს რამდენიმე ჟურნალში დაბეჭდა, აგრეთვე 1896 წელს გამოსცა მონოგრაფია, „სპარსეთი და იქაური ქართველები"; 1926-27 წლებში ფერეიდანი მოიარა ამბაკო ჭელიძემ, ხოლო 1935 წელს გამოაქვეყნა წიგნი — „ფერეიდნელი ქართველები"; 1944 წელს ფერეიდანში ჩავიდა ცნობილი კინო-რეჟისორი ირაკლი კანდელაკი, გადაიღო. დოკუმენტური ფილმი, „ქართველები ირანში", წერილი დაბეჭდა ჟურნალ „დროშაში", (1958 წლის მარტი); 1946 წელს ფერეიდანში ჩავიდა გ. გრძელიძე, ფერეიდნელებს ჩაუტანა ქართული წიგნები; 1947 წელს — ალექსანდრე ასლანიკაშვილი, როგორც საქართველოს მინისტრთა საბჭოს წარმომადგენელი, ჩავიდა ირანში, ფერეიდნელი ქართველების რეპატრიაციის თაობაზე; მისი ნაშრომი „ირანელი ქართველები" (ხელნაწერი, რუსულ ენაზე, 1963 წ. ინახება გეოგრაფიის ინსტიტუტში).

ა. ასლანიკაშვილს ერთმა ფერეიდნელმა მოხუცმა კაცმა უთხრა: „ყველა დიასახლისი, წიწილა რომ ეკარგება, გამოდის გზაზე და მას ეძებს. საქართველომ, ასე დიდი რაოდენობით ხალხის დამკარგავმა, როგორც ფერეიდნელები ვართ, არ შეიძლება ძებნა არ დაიწყოს";

ნოდარ კოჭლაშვილი 1965 წლის ზაფხულზე მივლინებული იყო თეირანში საბჭოთა კავშირის ახლად გახსნილ სამრეწველო-სავაჭრო გამოფენაზე. იგი იქ შეხვდა ფერეიდნელ ქართველებს, ესაუბრა, მათი ყოფა-ცხოვრების შესახებ ბევრი რამ ახალი გაიგო. თეირანში წასვლის წინ ჩემი თხოვნის გამო ფერეიდნელების შესახებ საჭირო ცნობები მომაწოდა. ამავე პერიოდში თეირანში მივლინებული იყო ზურაბ შარაშიძე. მან ირანის ქართველების შესახებ გამოსცა მონოგრაფიული გამოკვლევა — „ფერეიდნელი გურჯები" (თბილისი [...] წ.). 1969 წელს გურამ პატარაიამ ფერეიდანში გადაიღო ფილმი „შორი გურჯისტანამდე", სადაც კარგად არის ნაჩვენები ფერეიდნელების ყოფა-ცხოვრება.

1969-72 წლებში ზაფხულობით აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პროფესორი მაგალი თოდუა სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა ირანში — ფერეიდანში, მაზანდარანში, ხორასანში. იქაურ ქართველებთან შეხვედრის მასალები „ფერეიდნული მეტყველება" 1971 წელს გამოაქვეყნა. უნდა შევჩერდე განსაკუთრებით საინტერესო ერთ მომენტზე, 1971 წლის ოქტომბერში მ. თოდუა და საკდესის კორესპონდენტი ა. აჭმედზიანოვი მაზანდარანში მოგზაურობდნენ, ეძებდნენ ქართულ სოფლებს. ა. აჭმედზიანოვი მოგვითხრობს (იხ. „კომუნისტი", 23-III-1971) — „[...] შევნიშნეთ სიცივისაგან აბუზული ორი ბიჭუნა, შევჩერდით და მ. თოდუამ ჰკითხა, ხომ სადმე „გურჯების" სოფელი ხომ არ არის? გახლავთ, — უპასუხეს მათ, — ჩვენ თვითონ „გურჯები" ვართო. ყმაწვილებმა გვითხრეს, უღელტეხილის მახლობლად სოფელ შურაბში ვცხოვრობთ და იქ ყველანი ქართველები არიანო. ბიჭებს სახე გაუბრწყინდათ, როცა შეიტყვეს, რომ ქართველს ელაპარაკებიან. ისინი სპარსულად საუბრობდნენ. მაგრამ როცა ჰკითხა ქართული თუ იცითო, ბავშვებმა სიხარულით დაუკრეს კვერი. მაგრამ, ვაი რომ ენას, რომელზეც ისინი საუბრობდნენ, საერთო არა ჰქონდა რა ქართულთან. ეს იყო სპარსულის დიალექტი და როცა თოდუამ ეჭვი გამოთქვა მათი ქართველობის გამო, ბიჭებმა იწყინეს და ატირდნენ კიდეც — ჩვენ ნამდვილი „გურჯები" ვართ და ჩრდილოებისაკენ არისო „გურჯების" კიდევ ერთი სოფელი, რომლის მცხოვრებნი დაადასტურებენ, რომ შურაბელები ნამდვილი გურჯები არიანო... ბიჭები გვევედრებოდნენ, სოფელში გავყოლოდით და მოხუცები გვენახა, რათა გვერწმუნებინა, რომ შორეული სამშობლოდან ჩამოსულ ნამდვილ ქართველთან შეხვედრა ბავშვების მოგონილი ამბავი არ იყო. მაგრამ უკვე მწუხრი ეშვებოდა. წინ გრძელი და ძნელი გზა გვედო. რაღა დაგვრჩენოდა, ბიჭები დავარწმუნეთ, რომ აუცილებლად დავბრუნდებით, და გზას გავუდექით". ის ბიჭები უკვე დავაჟკაცდებოდნენ, მას შემდეგ 19 წელი გავიდა, ალბათ დღესაც ელოდებიან დიდ საქართველოდან ჩასულ „ნამდვილ ქართველებს". რა დასანანია, რომ დღემდე არ ვიცით ირანში მცხოვრები ქართველების ნამდვილი სურათი, სპეციალური შედგენილი რუკა არ გაგვაჩნია.

1973 წელს გიორგი ჰიპაშვილმა ირანში იმოგზაურა, შეხვდა იქაურ ქართველებს. დასტამბა წიგნი — „ირანის სახელმწიფო წყობილება". აგრეთვე რეზო მიქელაძესთან ერთად თარგმნა ფერეიდნელი ქართველის მაჰმად სეფიანის (სეფაშვილის) წიგნი „ქართველი ირანელები", რომელიც რამდენიმე თვეში გამოქვეყნდება.

უძრაობის საბჭოთა პერიოდში ირანიდან ქართველების დაბრუნებაზე წერა ბევრს დიდად სახიფათო საქმედ მიაჩნდა. ფერეიდნელების საქართველოში დაბრუნების საკითხი კი მოსვენებას არ მაძლევდა; ბოლოს მაინც წერა დავიწყე... ფერეიდნელი ქართველების ჩამოსახლების ამ საწყის პერიოდიდან (1963 წ.), მათი პირველი ნაკადის საქართველოში ჩამოსახლებამდე (1979 წ,). მრავალი წერილი მივწერე საქართველოს კპ ცკ-ს, მინისტრთა საბჭოს, არაერთხელ მივაღწიე ვ. მჟავანაძესთან, გ. ჯავახიშვილთან, გ. ძოწენიძესთან შეხვედრას; ბოლოს მოსკოვს მივმართე. დასაწყისში თუ მარტო ვიბრძოდი, რადგან ხალხი დაშინებული იყო, შემდეგ ეტაპზე სხვა ქართველი მეცნიერები გვერდში ამომიდგნენ. ბოლოს მივმართეთ სკკპ XXIII ყრილობასაც, რის შემდეგ საქმე ადგილიდან დაიძრა.

შევქმენით ფერეიდნელი ქართველების ჩამოსახლება-დასახლების საორგანიზაციო ჯგუფი- 1. გიორგი ჩანგაშვილი, 2. ჯამბაკურ ბაქრაძე, 3. აკაკი მათიაშვილი, 4. ამირან ცამციშვილი, 5. კოტე ჩოლოყაშვილი, 6. ნოდარ კოჭლაშვილი, 7. ირაკლი კანდელაკი, 8. ლევან ფრუიძე, 9. გიორგი ჰიპაშვილი, 10. თეიმურაზ ჩიქოვანი, 11. ზურაბ ცქიტიშვილი, 12. გუგული მელაძე, 13. სოფიო კევლიშვილი, 14. სერგო ტაბატაძე, 15. ჯემშიდ გიუნაშვილი, 16. გურამ გასიტაშვილი, 17. მირიან ხუციშვილი.

საორგანიზაციო ჯგუფის წევრთა უმრავლესობამ 1963-1972 წლებში დიდი მუშაობა ჩაატარეს საქართველოს მოსახლეობის გათვითცნობიერების მიზნით, ფერეიდნელი ქართველების ისტორიისა, მათი ცხოვრების ადათ-წესებისა და ჩამოსახლების საპრობლემო საკითხების ხასიათის ირგვლივ. საორგანიზაციო ჯგუფის წევრები, როგორც თბილისში, ისე საქართველოს სხვა რაიონებში ვატარებდით ლექცია-მოხსენებებს, ვმართავდით თემატურ საღამოებს.

ჩვენს მიერ ჩატარებული ღონისძიებების შედეგად ხსენებული დაწესებულებების თანამშრომლები განცხადებებს წერდნენ ფერეიდნელი ქართველების დროზე ჩამოსახლების შესახებ, რომელსაც 200-300 კაცზე მეტი აწერდა ხელს (გაზაპარატის ქარხნის კოლექტივის განცხადებას 360 კაცი აწერდა ხელს).

მრავალწლიანმა შრომამ შედეგი გამოიღო; საბოლოოდ გადაწყდა, რომ ფერეიდნელ ქართველებს საქართველოში ჩამოასახლებდნენ. 1972 წლის 15 მარტს, ფერეიდნელი ქართველების პირველი მერცხლები საქართველოში — კახეთში ჩამოვიდნენ. მათ შეხვედრა მოუწყვეს გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყში. ამ ამბავმა ქართველ ხალხში ენით აუწერელი სიხარული და დაინტერესება გამოიწვია, რასაც შედეგად მოჰყვა მათი საქართველოს ყველა რეგიონიდან ჩამოსვლა. ხალხმრავალი მიტინგი კულტურის სახლის გარეთ ეზოში მოეწყო. ყველას აინტერესებდა ფერეიდნელი კაცის ახლო ნახვა, ხელის ჩამორთმევა, გამოლაპარაკება. მიტინგმა დიდხანს გასტანა... ამას შემდეგ მოჰყვა მრავალ ოჯახში უხვი კახური სუფრის გაშლა, ქართული ლხინი.

მომდევნო პერიოდში სხვა ფერეიდნელი ქართველებიც იქნენ ჩამოსახლებულნი — სულ 29 ოჯახი. ფერეიდნელი ქართველები დასახლებულნი იქნენ გურჯაანის რაიონში — ჭანდარში, ჩუმლაყში, ახაშენში, ვაზისუბანში, აგრეთვე საგარეჯოში და თბილისში. ჩამოსახლებული ფერეიდნელები კარგად იქნენ დაბინავებული. მაგრამ ცნობილია, რომ შორეული ადგილიდან აყრილი, ახალ გარემოში მოხვედრილი კაცისათვის ბევრი რამ გათავისებას, შეჩვევას საჭიროებდა; ამის გამო მათ ყოველდღიური, მრავალმხრივი და გონივრული მზრუნველობა სჭირდებოდათ. 1971 წლის 18 მარტს ამხ. ვ. მჟავანაძეს მივწერე „რომ ახლად ჩამოსახლებული ფერეიდნელი ქართველების დასახლება მიზანშეწონილია მოხდეს კახეთში, თელავ-ახმეტის რაიონში, სადაც გინება არ იციან. პირველი ჯგუფების გურჯაანის რაიონში დასახლება მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია... ფერეიდნელი ქართველები თავიანთი ზნე-ჩვეულებით დიდად არ განსხვავდებიან იმ წინაპრებისაგან, რომლებიც მე-17 საუკუნის დასაწყისში კახეთიდან ფერეიდანში ჩაყვანისას იყვნენ. ცნობილია, რომ ფერეიდნელმა ქართველებმა ჯერ კიდევ „დედის შეგინება არ იციან", ისინი დედის სახელს წმინდანთან ათანაბრებენ, ამიტომ მათი დასახლების ადგილის შერჩევა და შემდეგ მათთან დამოკიდებულებას განსაკუთრებული სიფრთხილე სჭირდება. შეიძლება უბრალო შემთხვევამ მეტად ცუდი შედეგი მოგვცეს, გარდა ამისა, აქვე მივუთითებდი, რომ ფერეიდნელი ქართველების ჩამოყვანა-დასახლების ორგანიზაციისას, მათზე მიმაგრებულნი უნდა იყვნენ ისეთი პირები, რომლებმაც კარგად იციან კახელების ზნე-ჩვეულება და ფერეიდნელებისაც, აგრეთვე ვისაც ამ ხალხზე გული შესტკივა". შემდეგ, 1973 წლის 19 მარტს ამხ. ვ. სირაძეს მივწერე „... ფერეიდნელი ქართველების დასახლება უნდა გაგრძელდეს კახეთში, ზოგიერთ სოფელთან 15-25 ოჯახის ოდენობით, ცალკე უბნების სახით, სოფლებში მათი ორი-სამი კომლობით დასახლება დაუშვებელია.- თელავ-ახმეტის რაიონში სოფლებთან — 20-25 ოჯახიანი უბნები უნდა შევქმნათ. მათთვის ცალკე სოფლის შექმნისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია ყვარელ-შილდას შორის"; ეს რეგიონი წარმოადგენს ძველ ნაქალაქარ ნეკრესის ვრცელ მიდამოებს. აგრეთვე მათთვის სოფლის კარგ სამოსახლოდ ვთვლით: 1. გარე კახეთში მდ. ლაკბეს გადაკვეთის შემდეგ გომბორის ქედის სამხრეთ ფერდობზე; 2. ერწო-თიანეთში, მისი მიდამოების ლანდშაფტი ფერეიდნელებისას ჰგავს.

მათ ჩემს რჩევას ყურადღება არ მიაქციეს. გურჯაანის რაიონში დაასახლეს. მიმაგრებით, ზოგს ისეთი შემთხვევითი პირი მიამაგრეს, რომელთა ფერეიდნელებთან საუბარი კედელზე ცერცვის შეყრას უდრიდა. მათ მზრუნველის ხელი დააკლდათ. რატომღაც ორგანოები, რომელთაც მათზე მზრუნველობა-ორგანიზაცია ევალებოდათ, ჩვენდამი (საორგანიზაციო ჯგუფისადმი) იზოლაციის გზას დაადგნენ.

ჩამოსახლებულ ფერეიდნელთა ერთმა ჯგუფმა უკან, ირანში დაბრუნება მოითხოვა. ბოლოს, როცა თბილისში პარტიის ცკ-ს მიაკითხეს და ირანში დაბრუნების ნებართვა მოითხოვეს, მაშინ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში მითხრეს, მდგომარეობა ასეთიაო, ჩადი კახეთში, ისინი ნახე, ესაუბრე, იქნება წასვლა გადაათქმევინოო. მოვახერხე კახეთში წასვლა, თან წავიყვანე აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თანამშრომელი ილია დათუნაშვილი „მუსულმანი". გურჯაანის რაიონის მრავალ სოფელში, სადაც ისინი იყვნენ ჩასახლებულნი, არც ერთი მამაკაცი არ დაგვხვდა. ბოლოს ვიპოვეთ, სოფ. ჩუმლაყში, ყველანი ერთად იყვნენ, თათბირობდნენ, ალბათ, ირანში დაბრუნებაზე. ჩვენი მისვლა მაინცდამაინც არ ესიამოვნათ, კითხვაზე პასუხს არ გვაძლევდნენ, ზოგი მარტო იმას გვეუბნებოდა „გაგვიშვით ირანში". ბოლოს წინ დავუწყე მათი ჩამოსახლების შესახებ ადრე გაგზავნილი რამდენიმე ათეული განცხადების ასლი, ზოგი მათგანი წავუკითხე. შემდეგ საკმაოდ გულმოსულმა, ვუთხარი „მე თქვენს შესახებ პასუხისმგებელი ვარ, თუ დაფიქრებულხართ რას აკეთებთ, მე შეიძლება ამის გამო მთავრობამ პასუხისგებაში მიმცეს, რადგან თქვენს შესახებ მიცემული დაპირებას თქვენ არ ამართლებთ". შემდეგ კი გული გაგვიხსნეს, ყველაფერი გვიამბეს თავიანთ გაჭირვებაზე. ერთად ვისადილეთ, ხანგრძლივად ვისაუბრეთ, მეორე დღესაც იქ დავრჩით; თითქმის ყველა ოჯახში ვიყავით, სახლ-კარი დავათვალიერეთ გამოვესაუბრეთ, ყველა ჩრდილოვანი ფაქტები ჩავიწერე.

გამოირკვა, რომ მათ ცხოვრება გაუჭირდათ კოლმეურნეობიდან თუ საბჭოთა მეურნეობიდან გამომუშავებული 80-100 მანეთი მრავალრიცხოვან ოჯახს არ ყოფნიდა. არც შეშა ჰქონდათ, სიცივეში უხდებოდათ ყოფნა, ფქვილს და სხვა პროდუქტების რიგში დგომის დროსაც ვერ შოულობდნენ, იგი მალე თავდებოდა. საკარმიდამოდან შემოსავალი ჯერ-ჯერობით არ ჰქონდათ, ბაზარში პროდუქტები უკვე ძვირი იყო. ამას ემატებოდა ის უკუღმართი მდგომარეობა, რომ ჩამოსახლებულ ფერეიდნელებს ირანში სტუმრად ჩასვლის გზა გადაუკეტეს, ასევე ფერეიდნელ ქართველებისათვის საქართველოში სტუმრად ჩამოსვლის გზაც ნაწილობრივ გადაკეტილი იყო. საქართველოში წამოსული ფერეიდნელები მეტ წილად დიდ ოჯახს გამოეყვნენ, ახლო ნათესავების ნახვას ნატრობდნენ, ვერც გარდაცვლილთა დაკრძალვას ესწრებოდნენ. ეს მათ ყოფას საკმაოდ ართულებდა. შეიძლება ზოგ ფერეიდნელზე „ნოსტალგიამაც" (სამშობლოსადმი გაუნელებელმა სიყვარულმა) იმოქმედა, სადაც შობილა — გაზრდილა, მაგრამ ფერეიდანი მათი სამშობლო არ არის, კიდევ მრავალი საუკუნე რომ გავიდეს, ქართული ენაც დაივიწყონ, ისინი მაინც „გურჯებად" დარჩებიან. ფერეიდნელი ქართველების (და ირანში მყოფი სხვა ქართველებისაც) დედა სამშობლო „დიდი საქართველოა", სადაც მათი ძველი მამაპაპათა სისხლით გაჟღენთილი მიწებია, ღრმად კი მათი ძვლები მარხია, ხოლო ზემოთ, ჰაერში მათი წმინდა სულები დაფრინავენ და ელოდებიან დიდი ხნის წინათ დაკარგული შვილების მოდგმას, აგრეთვე ელოდებიან ფერეიდანში გარდაცვლილი წინაპრების სულებს, რომ საკადრის სავანეში მოასვენონ.

ფერეიდნელ ქართველებს დახმარებას დავპირდი. თბილისში დაბრუნებისთანავე საქართველოს კპ ცკ-ის მდივნის ამხ. ვ. სირაძის სახელზე ხუთგვერდიანი მოხსენებითი ბარათი შევადგინე (19 მარტი, 1973 წ.), სრული ობიექტურობით ვამხილე ამ საქმეში დაშვებული ყველა შეცდომა, მოხსენებით ბარათის მეორე ნახევარში ვწერდი: „ფერეიდნელი ქართველებს ნორმალური პირობების შექმნის მიზნით ჩვე[...] ლად მიგვაჩნია [...] გი სახის ღონისძიებები [...] ნქტისაგან შედგებოდა...). ამხ. ვ. სირაძემ თათბირის დრო დანიშნა. მოიწვია გურჯაანის რაიონის აღმასკომისა და სასოფლო საბჭოების, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს და ცენტრალური კომიტეტის შესაბამისი განყოფილებების წარმომადგენლები. ამხ. ვ. სირაძეს დავალება მიეცა, რომ გ. ჩანგაშვილსაც გამოუძახეთო, მაგრამ მათ იგი მოატყუეს, უპასუხიათ ჩანგაშვილი თბილისში არ იმყოფებაო (იმ დღისით გეოგრაფიის ინსტიტუტში ვიყავი), უჩემოდ ითათბირეს. ამხ. ვ. სირაძეს საკმაოდ სიმკაცრით ყველა შეურცხვენია და დაუვალებია, რომ ჩემს მიერ წარდგენილი მოხსენებითი ბარათის ყველა პუნქტში აღნიშნული ნაკლი გამოესწორებინათ. დავალება ფერეიდნელების მიმართ გურჯაანის რაიონში ძირითადად შესრულდა, მათი ყოფა-ცხოვრების პირობები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ჩემს მიერ ამხანაგ ვ. სირაძის სახელზე წარდგენილ სრულიად ობიექტურმა მოხსენებითმა ბარათმა წყენა გამოიწვია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში და პარტიის ცენტრალური კომიტეტის შესაბამის განყოფილებაში. ჩვენ საორგანიზაციო ჯგუფთან ჩამოგვაცილეს. მართალია, ხსენებული ფერეიდნელები იმ წელს (1973 წ.) გაჩერდნენ, მაგრამ შემდეგ, 1978 წელს ირანში დაბრუნდა 9 ოჯახი, რაც წარმოადგენს სამწუხარო ფაქტს. ფერეიდნელთა 29 ოჯახიდან, თუ 20 ოჯახმა გაუძლო დროებით ნაკლოვანებებს, იმ 9 ოჯახსაც უნდა გაეძლო, ჭირშიც და ლხინშიც ყველანი ერთად უნდა ყოფილიყვნენ. 9 ოჯახის წასვლა გაუმართლებელია. წერილის წერაც იმიტომ გამიგრძელდა, ზემოხსენებულ ჩრდილოვან მხარეებზეც იმიტომ შევჩერდი, რათა მათი მომდევნო თანამემამულეების ჩამოსახლებისას მსგავსი რამ არ განმეორდეს, არც ჩამოსახლებულმა ფერეიდნელმა და არც დამხდურმა, საქართველოს ზოგმა პასუხისმგებელმა პიროვნებამ საჩოთირო საქმე არ უნდა ჩაიდინოს, რომ არც ფერეიდნელებს და არც ქართველ ერს გული კიდევ არ ატკინონ.

საქართველოში ჩამოსახლებული ფერეიდნელები გაიზარდნენ, სასწავლებლები (საშუალო, სპეციალური, უმაღლესი) დაამთავრეს, მსახურობენ, დავაჟკაცდნენ, გათხოვდნენ, დაქორწინდნენ, მრავლდებიან. საქართველოში ჩამოსახლების შემდეგ მათი 11 ახალი ოჯახი შეიქმნა. ფერეიდნელთა მრავალშვილიან ოჯახებში რომ შედიხარ, გული და სული გინათლდება; თვალეჟუჟუნა, სახენათელი, ლამაზი ბავშვები შემოგცინიან; მათი მშობლები მშობლიურ მიწაზე თავს ლაღად გრძნობენ. საქართველოში ამჟამად 31 ოჯახია (186 კაცი), ღმერთმა ამრავლოს!

**გიორგი ჩანგაშვილი,**
**საქართველოს საზოგადოება „ფერეიდანის" მრჩეველი და გამგეობის წევრი, გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი.**

**...ბრწყინვალედ** თამაშობს თბილისელთა გუნდის კაპიტანი! მან დროულად შეაჩერა მეტოქეთა ელვისებური შეტევა... — ვინ იცის, რამდენჯერ მოგვისმენია აღფრთოვანებული დიქტორის მსგავსი სიტყვები საფეხბურთო მინდვრებიდან გადმოცემული ტელე თუ რადიორეპორტაჟებისას თბილისის „დინამოსა" (ახლანდელი „იბერია") და სსრკ ნაკრების გუნდების კაპიტნის, სპორტის დამსახურებული ოსტატის — ალექსანდრე ჩივაძის მისამართით. ეს იყო უახლოეს წარსულში.

მეტოქეთა შეტევა იმ დღესაც შეაჩერა ალექსანდრე ჩივაძემ, მაგრამ ამჯერად ეს იყო არა სპორტული მეტოქე, არამედ პირსისხლიანი მტერი. და ეს გააკეთა არა როგორც ფეხბურთელმა მინდორზე, არამედ როგორც მამუ-

# გმადლობთ, კაპიტანო!

ლიშვილმა განსაცდელის ჟამს...

ეს ამბავი ასე მოხდა. 1989 წლის 8 აპრილს, დღისით, მთავრობის სასახლის წინ მიმდინარე მიტინგზე ბატონმა ზვიად გამსახურდიამ აღნიშნა, რომ ხაშურში შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკებმა დაავეს პატრიოტი სტუდენტები სამედიცინო ინსტიტუტიდან. ამასთან დაკავშირებით სტუდენტთა ერთმა ჯგუფმა პროტესტის ნიშნად შიმშილობა გამოაცხადა, და ინსტიტუტის№ 1 კორპუსთან გამართა მიტინგი. მანვე გაუსვა ხაზი იმასაც, რომ ეს მიტინგი ორგანული შემადგენელი ნაწილია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიერ ორგანიზებული აქციებისა.

სამედიცინო ინსტიტუტთან გვიან საღამოს მივედი. ინსტიტუტის წინ კიბის ბაქანზე ისხდნენ მოშიმშილენი, აქვე გამოეტანათ ტელევიზორი და მიკროფონი. აქცია კარგად იყო ორგანიზებული, უწყვეტლივ მოდიოდა ინფორმაციები ყველა „ცხელი" წერტილიდან. მიკროფონთან ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ორატორები. აგურებისა და ფიცრებისაგან იმპროვიზირებულ სკამებზე ისხდნენ ან შორიახლოს იდგნენ მიტინგის მონაწილენი.

იმ საბედისწერო დილის მეხუთე საათისათვის მიტინგს შემორჩნენ მოშიმშილენი და ასამდე ექიმ-სტუდენტი. მათ შორის მხოლოდ მე ვიყავი სხვა ინსტიტუტის წარმომადგენელი. ბედის ირონიით, იმ წუთებში, როცა ვუკრავდით გიტარას და რაღაც საოცარი ჟინითა და ექსტაზით ვმღეროდით ქართულ სიმღერებს, მოგვესწრო ავისმომასწავებელმა ინფორმაციამ, მთავრობის სასახლის წინ და ტელევიზიასთან მშვიდობიან მიტინგთა დარბევის თაობაზე. მოვლენები ელვისებურად განვითარდა. უნდა აღინიშნოს, რომ მიტინგის ორგანიზატორებსა და მის მონაწილეთა შორის პანიკა არ შექმნილა, გაურკვეველი იყო მხოლოდ შემდგომი მოქმედების გეგმა. იმ აზრმა, რომ აქცია გაგვეგრძელებინა, ხოლო საწვავი კორპუსში გოგონები შეგვეხიზნა, მათი პროტესტი გამოიწვია. საბოლოოდ გადაწყდა, ყოველგვარი პანიკის გარეშე ჯარისკაცებს (რომელნიც ჩვენი ვარაუდით აქაც მოვიდოდნენ), დამსხდარნი დავხვედროდით და თუ მაინც არ შეგვეპუებოდნენ, თავი დაგვეცვა ფიცრებით ან რითაც შევძლებდით. ახლა, როცა 9 აპრილი ისტორიის კუთვნილება გახდა, ალბათ, ძნელი განსასჯელი აღარ არის, რომ ეს გულუბრყვილო გადაწყვეტილება იმ მომენტისათვის არც მეტი, არც ნაკლები — თვითმკვლელობის ტოლფასი იყო.

საშიშროება კი კატასტროფული სიჩქარით ახლოვდებოდა, სისხლმოწყურებული ჯალათების ხროვა მთელ ქალაქს მოედო, უკვე კარგად ცნობილი, წინასწარ დაგეგმილი კონკრეტული მარშრუტებით და ამ მარშრუტთა ერთი ბოლო წერტილი სამედიცინო ინსტიტუტის წინა ეზოც იყო.

სწორედ ამ საბედისწერო ჟამს მოვიდა ჩვენთან ადამიანი, რომლის ავტორიტეტი და პიროვნელობა ყველასათვის ნათელი იყო. ეს იყო ალექსანდრე ჩივაძე — ყველასთვის ნაცნობი და საყვარელი სპორტსმენი. მას, როგორც იტყვიან ფეხად გამოესწრო „და[...]ელი რაზმისათვის". არასოდეს დამავიწყდება მისი გულშიჩამწვდომი, უბრალო ადამიანური მუდარა: [...]ერთ, ეს არ არის კომ[...], შიში, ლაჩრობა ან უკან [...], ეს რომ ასე იყოს, მე არ [...]ევდით გაცლას და თქვენთან ერთად შევეკლავდი თავს მტერს, მაგრამ ღირს კი დაბრმავებულ, აზრდაკარგულ, კბილებამდე შეიარაღებულ ჯარისკაცებს შევაკვდეთ უიაროდ, შიშველი ხელებით და [...] ხორცი საჯიჯგნად?...

...გვევედრებოდა როგორც ძმა და როგორც უფროსი მეგობარი, წუთი-წუთზე უკვე აქ იქნებიან და მერე გვიან იქნება".

ძნელი იყო მაშინ მის გაკეთება, არც ცივად განსჯის დრო იყო. ჩვენ უკვე ვიცოდით რომ დახოცეს უდანაშაულო [...]ნი და გვიპირდა, ო, როგორ [...]ოდა, გაცლა, მაგრამ მაინც გაჭრა მუდარამ. მე და ალბათ, ბევრი იქ მყოფიც, დღესაც დარწმუნებული ვართ იმაში, რომ არა ალექსანდრე ჩივაძე, 9 აპრილის დახოცილთა რიცხვს, ალბათ, სამნიშნა ციფრამდე ეწერა გაზრდა.

იმ დღიდან ერთ წელზე მეტი გავიდა. მე მესმის, რომ ძალიან დამაგვიანდა, ალბათ, ჩემი უყურადღებობის გამო მოხდა, რომ დღემდე ვერ გაგაგებინეთ მამულიშვილის კაიკაცობის ამბავი, მაგრამ ხომ გაგიგონიათ — სჯობს გვიან ნო...

**დავით ქურიძე,**
**საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის კულტ-საგანმანათლებლო ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი.**

# სჭირდება თუ არა საქართველოს საკუთარი არმია?

ყველა ცივილიზებულ, დამოუკიდებელ ერს აუცილებელია ჰყავდეს თავისი საკუთარი არმია, შინაგანი და გარეშე მტრებისაგან დასაცავად. მოვიდა დრო, დავიწყოთ ქართული არმიის შექმნისათვის წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოები. ჩვენი საზოგადოება მტკიცედ და პრინციპულად უჭერს იმ საკითხს მხარს, რომ არც ერთი ქართველი წვევამდელი ახალგაზრდა არ წავიდეს რუსული საოკუპაციო ჯარის სამსახურში. ეს ნაბიჯი საერთაშორისო იურისდიქციის შესაბამისად გამართლებულია, კერძოდ, „ჟენევა 49" კონვენციის შესაბამისად. მოსაწონია და მისასალმებელია ამ ეტაპზე უზენაესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილება ალტერნატიული სამსახურის შესახებ, მაგრამ ჩვენ ამით არ უნდა დავკმაყოფილდეთ. ჩვენ მოვითხოვთ უახლოეს ხანში სესიამ მიიღოს გადაწყვეტილება საოკუპაციო ჯარში გაწვეული ახალგაზრდების საქართველოში გამოწვევის შესახებ, აგრეთვე კანონი ქართული არმიის შექმნის შესახებ, როგორც ეს უკრაინის უმაღლესი საბჭოს სესიამ გამოაცხადა. ჩვენს მოძმე სომხეთის რესპუბლიკაში უკვე შეიქმნა ნაციონალური გვარდია, რომელიც ასი ათასამდე კაცს აერთიანებს. ჩვენც უნდა შევქმნათ ახალწვეულების გაწვევის ხარჯზე ქართული მილიციის შენაერთები ან სახალხო გვარდია, რომელიც იქნება ბაზა საჯარისო ფორმირებებისა. ჩვენ, აგრეთვე, უნდა გამოვიყენოთ ქართველი ოფიცრები; გადაიდგა უკვე პირველი ნაბიჯებიც ამ მხრივ; კერძოდ, ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში შედგა შეხვედრა ქართველ ოფიცრებთან, რომლის ინიციატორებიც იყვნენ საქართველოს ჰელსინკის კავშირის სამხედრო კომისია და ქართველ ოფიცერთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლები.

საქართველოდან გაწვეული ჯარისკაცთა ინტერესებისა და წვევამდელების უფლებების დაცვის რესპუბლიკური საზოგადოება თვლის, რომ კარგი იქნება თუ ქართველი ოფიცრები, რომლებიც მსახურობენ საბჭოთა არმიის რიგებში, ბოიკოტს გამოუცხადებენ დამპყრობელთა არმიას, ჩამოვლენ საქართველოში და თავიანთ მხედრულ ნიჭს მოახმარენ ჩვენს სამშობლოს. ქართული მხედრული ნიჭი ანცვიფრებდა მთელ მსოფლიოს თავისი გონიერებითა და სიმამაცით. ამ მხედრული ნიჭის წყალობით გადაურჩა საქართველო ამდენი უამრავი მტრის შემოსევებს და დღესაც აუცილებელია ის ქართული მხედრული გენი წამოტივტივდეს, რომელიც საქართველოს დაიცავს ყოველგვარი საფრთხისაგან.

**ზია კერვალიშვილი,**
**საქართველოდან გაწვეულ ჯარისკაცთა ინტერესებისა და წვევამდელების უფლებების დაცვის რესპუბლიკური საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი.**

# ალბომში ჩარჩენილი სევდა

**1890 წლის** ზაფხულის ერთ მზით სავსე დღეს თელავში, ყორჩიბაშ-რუსიშვილების უბანში, ღვთაების ეკლესიის გასწვრივ, დიდი აივნითა და თაღებით დამშვენებულ სახლში დაიბადა ყრმა, რომელიც ქვეყანას მოევლინა დედისეული გვარით, ხოლო მამის სახელის ნაცვლად დაემკვიდრა პაპის სახელი. მღვდელმა ნათლობის დავთარში ჩაწერა: ქართველიშვილი შალვა გრიგოლის ძე... სამჯერ გადაისახა პირჯვარი და დამარცვლით წარმოთქვა ეს გვარი, სახელი და მამის სახელი. შემდეგ თრთოლვით დააყოლა — ღმერთის საწყენს თუ ვაკეთებ, მაპატიოს, რამეთუ რასა ვიქმნ, არა ვიცი...

ამ ამბის სათავეში იდგა ვანო მაჩაბელი, ჩვენი სახელოვანი ქართველი მოღვაწე, შექსპირის ქართულ ენაზე ამმეტყველებელი... ამან ახალგაზრდა თელაველ მანდილოსანს ლიზა ქართველიშვილს გადაუშალა გული, ფრიად ხშირად ჩამოდიოდა ამ პატარა კოლორიტულ ქალაქში და ქართველიშვილების ოჯახს სტუმრობდა. ვანოსა და ლიზას სიყვარული ნაყოფია შალვა.

შალვა ჯერ არ იყო დაბადებული, როცა ვანო მაჩაბელი თბილისში, ნიკო დიასამიძის ოჯახში შეხვდა ბაგრატიონ-დავითაშვილის ქალიშვილს ტასოს, რომელმაც სიყვარულის ცეცხლში ისე გაახვია ვანო, რომ მან უმალვე ხელი სთხოვა. მალევე შედგა ქორწილი და აი, საოცრება — ქორწინების დღეს დაიბადა ყრმა, რომელიც მღვდელმა დავთარში გაატარა როგორც ქართველიშვილი შალვა გრიგოლის ძე.

შალვამ ბავშვობა გაატარა ყორჩიბაშ-რუსიშვილების, ვახვახიშვილების, აბაშიძეების, ახვლედიანების, ერისთავების და ცისკარიშვილების გარემოცვაში. ქართველიანთ ლიზა დედურ სითბოს არ აკლებდა შვილს. შალვას ოჯახში შეასწავლეს უცხო ენები, მუსიკა, მხატვრობა.

90-იანი წლების თელავში გამოცოცხლდა ლიტერატურულ-თეატრალური ცხოვრება. ამ საქმეში მამაკაცებს მხარს უსწორებდნენ აქაური ქალებიც. მათ შორის გამორჩეული ადგილი ეკავა ლიზა ქართველიშვილს.

ლიზა ქართველიშვილი უხვად გასცემდა სიკეთეს. იგი ყოველთვის მომართული იყო საზოგადო საქმისათვის. როგორც დედა, საზოგადოების ყურადღებას იმსახურებდა, ამიტომ იყო, რომ თელავში ერთ-ერთ ნადიმზე ვასილ ბარნოვმა ასეთი სიტყვებით მიმართა ქალბატონ ლიზას: „ბევრჯერ შევკამათებივართ ერთმანეთს, ბევრჯერ წავკიდებივართ და კამათი ჩხუბად გადაგვიქცევია, მაგრამ იმდენჯერვე ტკბილად შევრიგებივართ და არც ერთხელ არ გაგვიძრახავს ბოროტი ერთმანეთისათვის, ნამდვილად არ დავმდურებივართ ერთმანეთს. არც შეიძლებოდა ეს, რადგან თქვენც იცით, რომ დიდ პატივს გცემთ არამც თუ როგორც კარგ ნათლიას, არამედ როგორც შეგნებულ ქალს და სასარგებლო ადამიანს.

სიკარგე თქვენი იმაში მდგომარეობს, რომ მთელი თქვენი ცხოვრება არის განხორციელება ერთი კარგი გრძნობისა. მართალია, განხორციელება ფიცხი, განხორციელება თითქმის გადაჭარბებული, მაგრამ ეს ესე სჩვევია რომელიმე გრძნობით გაქლენთილ ადამიანს, რომელიმე ფიქრით გატაცებულ პიროვნებას.

საქმე ის არის, რომ თქვენი გული იმთავითვე უსაზღვრო სიყვარულისათვის არის მიმართული და იგი სიყვარული გასულდგმულებთ თქვენ. ძნელი გრძნობაა ეს კარგი გრძნობა, იგი ცეცხლია, რომელიც დაჰბუგავს თავის პატრონს, იგი გრძნობა უარყოფაა თავის თავისა სხვის სასარგებლოდ, ხოლო თავის უარყოფა ხომ ტანჯვაა. ეს ძალა გამოქმედებდათ თქვენის გაზაფხულის ხანაში, ასევე გამოქმედებთ თქვენ ეხლა. მხოლოდ, საგანი აქვს ამ გრძნობას თქვენს გულში შეცვლილი. აი, ახლაც სიყვარულს, შვილისადმი უსაზღვრო სიყვარულს მძლავრად მოუკიდნია თქვენთვის ხელი და შორ ქვეყნისაკენ მიგაფრენთ. ჩვენ აქედან თვალს ვადევნებთ თქვენს ამ გრძნობით გამოწვეულ მოღვაწეობას და სრული იმედი გვაქვს თქვენი ღვაწლი კეთილ ნაყოფს გამოიღებს, თქვენ სანუგეშოდ და ჩვენ გასახარად".

ვასილ ბარნოვის ოჯახთან ლიზა ქართველიშვილს მარტო ნათელმირონობა როდი აკავშირებდა. ეს საოცარი დედა-შვილი მწერლის ფანტაზიას შთაგონებას მატებდა. თავის ქმნილებებში: „მიმქრალი შარავანდედი" და „სახიფათო სიყვარული" პერსონაჟების პროტოტიპებად გამოიყენა.

შალვამ სრულიად ყმაწვილმა დაიწყო ლექსების წერა. მან სათავადაზნაურო გიმნაზიაში სწავლის დროს ჟურნალ-გაზეთებში გამოაქვეყნა ლექსები, ნახატები, კარიკატურები. შალვას ბედმა არგუნა, რომ ყოფილიყო სახელოვანი ქართველი მხატვრის ელენე ახვლედიანის ხატვის მასწავლებელი. მხატვრის არქივში დაცულია მოგონება შალვაზე, რომელშიც ვკითხულობთ: „შალვა ქართველიშვილს მე პატარაობიდან ვიცნობ. ჩვენი ოჯახები თელავში ცხოვრობდნენ და დიდი მეგობრებიც იყვნენ. შალვა ჩვენთვის, ბავშვებისათვის, რაღაც მიუწვდომელი არსება იყო. „შალვა სტუდენტია, თბილისში სწავლობს, არდადეგებზე ჩამოვა!" ეს არდადეგები ჩვენთვის ნამდვილი ზეიმი იყო. დილაადრიან ავდგებოდით, ვცდილობდით ჭკვიანად მოვქცეულიყავით, ორ სახლს შუა დავსხდებოდით, ვფუსფუსებდით. დედები და დეიდა ლიზა მზადებაში იყვნენ — შალვასაყვარელ საჭმელებს ამზადებდნენ... ბოლოს ან ნელა მიდიოდა დღე. „დილიჟანი" საღამოს მოვიდოდა და ჩვენი შალვაც გამოჩნდებოდა და ანათებდა გარშემო ყველას, ყველაფერს. უსაზღვროდ ლამაზი, ღრმანი თვალები ცოტა ნაღვლიანი ჰქონდა. როცა უფროსებს მიესალმებოდა, ჩვენც გვეცვივდებოდით, დავდევდით ჩვენი ალერსით, თან ვთხოვდით — შალვა ძია, დაგვიხატე რამე. რასაკვირველია, დაგვიხატავდა, ოღონდ ხვალ, დღეს დაღლილი ვარო! მეორე დღეს დაჯდებოდა მაგიდასთან, გვიხატავდა და გვიხატავდა. იმისთანა „ფერიკი" დამიხატა, თვალს ვერ ვაშორებდი, ჩემს საწოლთან ახლოს ეკიდა ხატივით, ჩემზე ბედნიერი არავინ იყო ამქვეყნად. ხატავდა კარიკატურებს, სხვადასხვა ტიპებს — ქარტნიან მუშას, უზარმაზარ კარადას რომ მიათრევს, ვირს, რომლის ხურჯინიდან მოჩანს კახური პური, დაკლული ქათმები, ჩარდახიან ურემს, ქალებს, რომლებიც თათარას ხარშავენ, რეცხავენ სარეცხს... ჩემი პირველი მასწავლებელი, რასაკვირველია, შალვა იყო. იმან ჩამინერგა სიყვარული ბუნებისა, ჩვენი ხალხისა, ქართული ხუროთმოძღვრებისა".

ელენე ახვლედიანის ყოველი შეხვედრა შალვასთან გამოირჩეოდა განსაკუთრებული სიყვარულითა და კდემამოსილებით. მხატვარმა ქალმა შალვას შთაგონებით შექმნა რამდენიმე ტილო, რომელზედაც აღბეჭდილია მათი ბავშვობის საოცნებო ქალაქი თელავი.

1909 წლიდან შალვა მოსკოვში მიემგზავრება. იგი შედის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. ამ სპეციალობაზე შალვას სწავლა გადააწყვეტინა ორმა ამბავმა: პირველად, როცა 8 წლის ყმაწვილმა გაიგო, რომ მამამისი — ივანე მაჩაბელი მოულოდნელად უკვალოდ გაქრა, და მეორედ, როცა ერის მამა, ილია ჭავჭავაძე წამებით მოკლეს.

1909 წელს „ივერიის" ფურცლებზე შალვა ქართველიშვილი აქვეყნებს ლექსს „ყმაწვილი ვიყავ მაშინ", რომელშიც იგრძნობა ილიას „ყვარლის მთების" გამოძახილი:

„ყრმა ვიყავ მაშინ, ოდეს დავტოვე
ჩემი სამშობლო, ჩემი მამული;
ტკბილ ოცნებებში მე შვება ვპოვე,
ტკბილ მოლოდინში მიძგერდა გული".

მაგრამ მალე გაქარწყლდა ყმაწვილის ტკბილი ოცნებები, რადგან

„როდესაც სტირის ჩემი სამშობლო,
როგორღა ძგერდეს სიამით გული?"

შალვამ 1913 წელს დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და დაიწყო ვექილობა. მალე გაითქვა მან სახელი როგორც საუკეთესო იურისტმა, მაგრამ, სადაც არ უნდა ყოფილიყო, არ ასვენებდა მამისეული გენი. მისი სული ყოველთვის დამუხტული იყო შემოქმედებითი ზეიმისათვის.

შალვა იშვიათი ფენომენი იყო. ამ დიდი ერუდიციის კაცმა ზეპირად იცოდა „ვეფხისტყაოსანი", ფლობდა ორატორულ ხელოვნებას, თარგმნიდა ქართული ლიტერატურის ძეგლებს რუსულად. განსაკუთრებულ გაწაფულობას ამჟღავნებდა „ვეფხისტყაოსნის" რუსულად თარგმნის საქმეში.



შალვამ თარგმნა პუშკინის სამი დრამატული ნაწარმოები: „ბორის გოდუნოვი", „მოცარტი და სალიერი" და „ქვის სტუმარი". ცნობილია, რომ ეს ორი უკანასკნელი დაიდგა კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე.

შალვა ქართველიშვილს შემოქმედებითი ურთიერთობა აკავშირებდა „ვეფხისტყაოსნის" რუსულ ენაზე მთარგმნელებთან კონსტანტინე ბალმონტთან და პანტელეიმონ პეტრენკოსთან. მათ წერილებსა და თანამედროვეთა მოგონებებში ხშირად იხსენიება ნიჭით სავსე „ქართველოვი".

შალვას ეკუთვნის ქართველ მწერალთა და მსახიობთა ჩანახატების ალბომი, რომელსაც განსაკუთრებული სისათუთით ინახავდა მისი მეუღლე, მასწავლებელი ელენე ბაქრაძე-ქართველიშვილისა. ამ ალბომიდან სახელოვანი ქართველი პირების ზოგი ჩანაწერი გადმოიწერა ქალბატონმა გულნარა აბაშიძემ და ჩვენ გადმოგვცა (ამავე ალბომიდან ამოკრებილი მასალები ჩართულია გ. ხარატიშვილის წიგნში „ქართველი ადვოკატების საზოგადოებრივი მოღვაწეობის ისტორიიდან", 1975 წ.). აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ქალბატონ გულნარას ძმას, დავით აბაშიძეს, რომლის სახელთანაც არის დაკავშირებული თელავში პირველი გაზეთის გამოცემა „ახალგაზრდა ქართველის" სახელწოდებით (1919 წ.) და ახალგაზრდული კლუბის შექმნა, თანაუგრძნობდა შალვა ქართველიშვილი.

შალვა ქართველიშვილის ალბომში ჩახატული ყოფილა პაოლო იაშვილი, რომლის ნახვით აღფრთოვანებულ პოეტს ასეთი სტრიქონები წაუწერია:

აქ ჩემი სახე მეჩვენება ტორეადორად,
ტოლედოს ცირკსა რომ ანათებს ამაყად
მდგომი,
ქვეყნის მოწყენა და ტირილი ჩამომაშორა,
სად არის ხალხი, მე მზადა ვარ
დავიწყო ომი.

ამავე ალბომის ფურცლებზეა წარწერილი პაოლო იაშვილის შალვა ქართველიშვილისადმი მიძღვნილი ტრიოლეტიც:

„მე შემიყვარდა ღიმილი შენი ფარული
და მოყვარული მეოცნებე შენი თვალები,
იქ იმალება, რასაც ალბათ გრძნობენ
ქალები,
ეტრფიალები და გამშვენებს ღიმი
ფარული.
მწვავს სიხარული, როცა მესმის შენი
„არული",
მე შემიყვარდა მეოცნებე შენი თვალები
და ღიმილი მოყვარული და დაფარული".

შალვა და ელენე ქართველიშვილების ოჯახის ხშირი სტუმარი იყო გალაკტიონი. აქ მას ეგულებოდა მყუდრო, თბილი, ინტელექტუალური გარემო. 1936 წელს გალაკტიონმა შალვას და ელენეს უძღვნა ასეთი ლექსი:

„რადგან ვიცით კრთომა,
რადგან ვიცით კრძალვა,
მე თქვენ გენაცვალეთ
ელიკო და შალვა!
ვიყვეთ, ვუცქეროდეთ
ჩვენს მთებსა და გორებს,
კიდევ გენაცვალეთ —
გული იმეორებს.
ამ ოჯახში ჩვენი
გული ერთად ვშალეთ,
კიდევ ვიმეორებ —
კიდევ გენაცვალეთ".

1937 წლის 25 იანვარს კვლავ მოუნახულებია გალაკტიონს ქართველიშვილების ოჯახი და შალვა უკვე დაპატიმრებული ყოფილა. პოეტს მოუკითხავს ის ალბომი და ასეთი სტრიქონები ჩაუწერია.

„წამების ბევრი დაკარგვის გამო
ვერ გამოხატავს ღლეთა მირონი,
მისთვის უდაბნო იყო მარონი,
სადაც შელლია და ბაირონი...
ელიკო! გელის გალაკტიონი".

შალვა ქართველიშვილს მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდა იოსებ გრიშაშვილთანაც. მან 1914 წელს გამოცემულ თავისი ლექსების კრებულზე ასეთი ლექსი წააუწერა:

მე შენ მიყვარხარ არა იმიტომ,
რომ სხვა ენაზე სთარგმნო ლექსები,
და არც იმიტომ, რომ ქალთა კონა
შემოგცაცინებს და გიალერსებს.
და არც იმიტომ, რომ ხარ ნატიფი
თვალად სხივანა, ტანად კენარი.
მე შენ მიყვარხარ, და ჩემი ტრფობა
შენს გულში მიტომ დავასაფლავე,
რომ შენში ჩქეფობს ქართველის სული
და მგოსნის ფიქრი მონათესავე.

შალვა ქართველიშვილის კალამს ეკუთვნის რამდენიმე სამეცნიერო შრომა იურისპრუდენციაში. ერთ-ერთი მათგანი შრომის კანონმდებლობაზე ცალკე წიგნადაც გამოიცა. თანამედროვეთა ცნობით, შალვამ ცნობილ იურისტებთან ი. ბარათაშვილთან და ი. მაჭავარიანთან ერთად შეაგროვა მასალები ქართულ სასამართლო მჭევრმეტყველებაზე. შალვამ ასეთივე ძვირფასი მასალები მოიპოვა ილია ჭავჭავაძის და ცნობილი მოღვაწის ნიკო ხიზანიშვილის მკვლელობაზე, მამამისის ივანე მაჩაბლის უგზო უკვლოდ დაკარგვაზე. როგორც გადმოსცემენ, მოკვლეული მასალებიდან ჩანდა, რომ ამ ორ (ილიასა და ნიკო ხიზანიშვილის მკვლელობის ამბავი) ტრაგიკულ ამბავს ერთი სათავე ჰქონდა. სამწუხაროდ, ეს მასალები ავბედით 1937 წელს გაქრა.

ციხის ცივ კედლებში ნაწამები შალვა ქართველიშვილი 1938 წელს გარდაიცვალა. გადარჩა მისი ლექსები, თარგმანები, ჩანახატების ალბომი მეგობარი პოეტების ჩანაწერებით და მათში ჩარჩენილი სევდით.

**გიორგი ჯავახიშვილი.**

**სურათზე:** შალვა ქართველიშვილი, მარცხნიდან (ზემო რიგში) მეხამე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პირველი

ახლახან გამომცემლობა „მერანმა“ გამოსცა დავით მჭედლურის რომანი „პირველი“. ავტორი სატირისა და იუმორის მოშველიებით მოგვითხრობს მმართველ პარტიულ აპარატში გაბატონებულ ბიუროკრატიზმზე, კარიერიზმსა და უსულგულობაზე. რომანის მთავარი გმირია დაბალი რანგის პარტიული მუშაკი, რომელსაც ღმერთად ესახება ყოვლისშემძლე, უსაზღვრო უფლებებით აღჭურვილი, სინამდვილეში გონებაშეზღუდული, ხელმძღვანელი ანუ აპარატის ტერმინით „პირველი“.

დავით მჭედლურის რომანის მთავარი ღირსება ის არის, რომ ავტორი აღწერს ფაქტობრივად იდუმალებით მოცულ, პრივილეგირებულ სოციალურ სფეროს, რაც დღემდე ქართულ მწერლობაში ასახული არ ყოფილა.

თუმცა, რომანში მოქმედება პირობით გარემოში მიმდინარეობს, მაგრამ ავტორი დამაჯერებლად გადმოსცემს პარტიულ აპარატში გაბატონებულ ფსიქოლოგიურ ატმოსფეროსა და გმირების ხასიათს, მათს მისწრაფებებსა და შეხედულებებს, რაც ძირითადად ერთი კაცის — პირველის „ღრმაშინაარსიანი დასკვნებითა და დებულებებით“ არის განპირობებული.

რომანის სულისკვეთება ტოტალიტარიზმისა და დიქტატის წინააღმდეგ არის მიმართული და პირუთვნელად ამხელს იმ სავალალო შედეგებს, რაც მოჰყვება ერთი პოლიტიკური ძალის მიერ მმართველობის მონოპოლიზაციას.

იმედია, ამ წიგნს ინტერესით გაეცნობა ქართველი მკითხველი.

# ახალი ლექსები



**ვახტანგ ხარჩილავა**

...რომ აღსდგეს სიბრძნე
დამონებული,
მოდიხარ,
გვერდით მოგდევს ზამთარი,
გაცვია სისხლში ამოვლებული
სამოსი — ღმერთის სიტყვა
მართალი.

ელის სასტიკი ცეცხლით
გამოცდა.
აქედან წამსვლელს,
იქიდან მომსვლელს
და ღმერთის სიტყვა —
შენი სამოსი,
ხასხასებს თოვლის ქათქათა
ფონზე.
**1990 წ.**

●

რით გაიზომოს დედაშვილობა,
კაცთა ცხოვრების ნათლით
მმოსავი.
რით გაიზომოს გმირის გმირობა
და თავდადება სამშობლოსათვის?

რით, რით აიწყას სისხლი
დაღვრილი
სისხლი როა და წვიმად იწვიმებს.
რით გაიზომოს ჩვენი ნაღველი,
რით აიწონოს ცრემლის სიმძიმე.

გადარეული, გახელებული
რით გაისინჯოს სისხლის შიშინი,
სამშობლოსათვის აღელვებული
გულის ცემა და მაჯის სიხშირე.

როცა იარა აღარ ხორცდება,
ჩვენი სული რომ ორად
გაჰკვეთა,
რით გაიზომოს ჩვენი ოცნება,
ჩვენი დაღლა და სასოწარკვეთა.

...[illegible] ჩიქრა, [illegible]
იწვოდა;
არ უძებნია გზა სამური...
რით გაიზომოს, რით აიწონოს
ვის ვისზე მეტად სტკივა მამული.

იქნებ ფილტვის და ხორხის
სიმძლავრით
და სხვის ყვირილზე
გადაყვირებით,
დროშის ფრიალით,
დასაფიცარით,
დროშებით, ქარში
გადახრილებით.
იქნებ მოყვრისკენ შლეგურ
გაწევით,
იქნებ უაზრო, ფუყე ქადილით.
ბრბოს ღრიანცელით და
ალტაცებით,
წყევლით, ქარიშხლად
ამოვარდნილით,

...მოურჩენელი მტანჯავს
ჰრილობა
და ბნელში ვწვალობ დილის
მოსვლამდის.
რით იზომება ახლა გმირობა
და თავდადება
სამშობლოსათვის?
**1990 წ.**

●

ძველ დიდკაცობას ემატება
ახლა ახალი,
არის გნიასი, ყაყანი და
აყალმაყალი.

ო, არა ნიჭით, არა ჯიშით,
არა ღირსებით,
არა სიმართლით —
მშვენიერი სულის თვისებით,

არამედ ძალით, მუშტის ქნევით,
აყალმაყალით
ძველს ემატება დიდკაცობა
ახლა ახალი.

იმ ძველის მსგავსი, რა თქმა უნდა,
ძველის გაზრდილი,
ფარისეველი ერთის ნაცვლად
ორი ვაზირი.

დამემოწმება კაცი დაბლა და
ღმერთი მაღლით,
ამდენ დიდკაცს რომ ვერ
გაუძლებს დაღლილი ხალხი.

თუმცა ვის ახსოვს ხალხი,
ხალხი, ყოვლის დამთმენი,
ერთი წამრთმევის ნაცვლად
მოდის ორი წამრთმევი.
არა თვისებით, კეთილშობილ
სულის მაღალის,
არამედ ძალით დიდკაცობა
მოდის ახალი.

აიმღვრა ჟამი, მღვრიე ნისლში
ჩანან ლანდები,
როდის დაცხრები, მღვრიე ჟამო,
და ჩაწყნარდები.

ძველს ემატება დიდკაცობა
ახლა ახალი,
დგას ყიჟინა და ყაყანი და
აყალმაყალი...
**1990 წ.**

●

— ყველანი შევერთდეთ!
**გაზეთებიდან**

არ შეერთდება ცეცხლი და
წყალი,
არ შეერთდება სინათლე
ბნელთან,
არ შეერთდება ღამე და დილა
და მზე მთვარესთან არ
შეერთდება.

არ შეერთდება ეშმაკთან
ღმერთი,
არ შეიერთებს კეთილი ბოროტს,
ნაკურთხი წყალი და კუპრის
წვეთი
აღარასოდეს არ შეერთდება.

არ შეერთდება წყევლასთან
ლოცვა,
წყევლის სიტყვებთან სიტყვები
ლოცვის
და რაც არ უნდა იწვალოს
ხორცმა,
არ შეერთდება სული და ხორცი.

მაგრამ როდესაც დადგება ჟამი
და ერთმანეთში აიზილება
ბნელი და შუქი, ღამე და დილა,
ლოცვა და წყევლა, წყალი და
ცეცხლი
გადაეწვება სამყაროს ტვინი
და ღვთიურ წესრიგს ქაოსი
შეცვლის.
**1990 წ.**

●

გათავდა. დროა ჩამოდგა ტვირთი,
გადაიარა უკვე მკათათვემ.
გათენდა ერთ დღეს და უცებ
მიხვდი
ლამაზდებოდი თურმე
ბრმათათვის.

მღეროდი დიდხანს, ყელს
იღერებდი,
შთაგონებული ცას აჰყურებდი,
არვის ესმოდა ეს სიმღერები,
თურმე დარბაზში ისხდნენ
ყრუები.

წახვალ და ვილას ემახსოვრება
რატომ და რისთვის წვალობდა
მღერი.
ეს უხმაურო შენი ცხოვრება,
ვით გადარბენა ბალახზე
ჩრდილის.

ვიღაცის მკაცრმა ხელმა
კადრიდან
ამოგჭრა შენც და შენი სახელიც,
უნდა წახვიდე. აწ აქ რა გინდა,
არც გამგონე გყავს, არც
დამნახველი.

გაგითენდება სხვა სინამდვილე
და სულთათანა მოვა სულთანა.
ამოგჭრეს თითქოს და იმ
ადგილას,
სადაც შენ იდექ, ჩანს
ჰუპრუტანა.

●

გული გულს ებრძვის და ეომება,
დევს სულთა შორის მღვრიე
ხეობა,
ამ ღრანტეების და ხეობების
შერიგებაა შენი ხელობა.

უთანხმოება. — გამყოფი გზათა,
გამყოფი ცათა, გამყოფი სულთა,
მათ შუა მდგარი მუდარა სანთლის,
სანთლის ვედრება და სანთლის
სუნთქვა.

ჰოი, რა ხშირად მტერი
ჰგონიათ,
ვინც ჭეშმარიტი სიბრძნე იგემა,
ვინც გვთხოვს სიმშვიდეს და
ჰარმონიას,
ვინც გვთხოვს სინათლეს და
შერიგებას.

ვინც გვთხოვს სიყვარულს,
ვინც გვთხოვს თანხმობას
და ნგრევის ნაცვლად ტაძრის
შენებას,
ბოლოს შლეგთაგან ელის
ჩაქოლვა,
მას, ვინც შუაში დგას
გამშველებლად.
**1990 წ.**

# აქ, სადაც ვაჟა-ფშაველას ძეგლი დგას

„ღვთის მადლის გარეშე არაფერი კეთილის გაკეთება არ შეგვიძლია“.

**დიდი სჯულის კანონი**

„ეკლესია არის სვეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისა“.

**პავლე მოციქული**

ფშავი...

აქ, სადაც სივრცეს მეოცე საუკუნის შხამიანი კვამლი არ შეხებია, სადაც დღეებისა და ღამეების სინათლეში კვლავ იგრძნობა პირველყოფილი მშვენიერების მადლი, უფლისა და მამულის უერთგულესმა ვაჟა-ფშაველამ თქვა ულამაზესი ლოცვა, რომელიც ქართველი ადამიანის გულსა და გონებას მარადიულ სასწაულად შემორჩა:

„ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე, მძინარეც ამას ვდუდუნებ...“

ვაჟა-ფშაველას — ჭეშმარიტ მორწმუნესა და შემოქმედს — არ მიუტოვებია ის მიწა, სადაც მისი აკვანი დაირწა, სადაც ადგილის დედის დაუშრეტელი სიკეთე ყვავილობდა. აქ ხარობდა და აქ იტანჯებოდა... წუთისოფლის უსამართლობისაგან ულმერთოდ ნაწამები აქ გადადიოდა ტკივილის ერთი ალმართიდან მეორეზე, რომ უფრო მიახლოვებოდა ჩვეულებრივი ადამიანის გონებისათვის მიუწვდომელ ჰორიზონტებს (იმავე ჩვეულებრივი ადამიანის სულიერი ამაღლებისათვის), რომ უფრო ეგრძნო უფლის სიდიადე და სამყაროს მშვენიერება...

დიდი პოეტი ახლოს იდგა ღმერთთან („მაგრამ გაიგეთ, ერთხელაც, ვინ ახლოს ვსდგავართ ღმერთთანა“), ცხოვრობდა მისი კანონებით, კარგად ჰქონდა გაცნობიერებული დიდი ძალა მთაში ფესვგადგმული ხატებისა... ვაჟა-ფშაველა თითოეულ ხატს უყურებდა და შეჰხაროდა, როგორც ზეციურ და ქვეყნიურ ეკლესიათა მარადიული ერთიანობის სიმბოლოს...

●

მერე კი მოხდა ტრაგედია: საქართველოს ერთ-ერთი უმშვენიერესი კუთხე დაიცალა. იმ ადგილებზე, სადაც ადრე წინაპრის ცელი და გუთანი ბრწყინავდა, ტყეებმა გადაიარა, ნასახლარებზე შამბმა იხარა...

მართალია, კოლექტივიზაცია მთის მოსახლეობისათვის ის ურჩხული აღმოჩნდა, რომელსაც ხალხი ბარისკენ გაერიდა, მაგრამ მიზეზი ტრაგედიისა მხოლოდ კოლექტივიზაცია არ ყოფილა. ჩვენი რწმენით, უმთავრესი მიზეზი ესაა: ფშავში (ეს ითქმის საქართველოს სხვა, ასევე დაცარიელებულ თუ განახევრებულ კუთხეებზედაც!) არ იყო ჭეშმარიტი ქართული ეკლესია — სახლი ღვთისა; ასეთი ეკლესია რომ ყოფილიყო, მაშინ მთიელი ადამიანის გულში ღვთის სიყვარული უფრო დიდი იქნებოდა, ვიდრე შიში სხვა რამისა — თუნდაც კოლექტივიზაციისა — და გლეხიც აღარ მიატოვებდა მშობლიურ ხატებსა და ადგილის დედას... მაგრამ დიდი სჯულის კანონის მიმდევარი ეკლესიის უქონლობის გამო აქაური ქრისტიანის შინაგანი სამყარო დაინისლა და გაიბზარა.. აქაური ქრისტიანი გრძნობდა ღმერთს, იცოდა მისი არსებობა, სანთელსაც უნთებდა, შესაწირავსაც სწირავდა, მაგრამ მთლიანად, როგორც ღმერთისა და ადამიანის ურთიერთობას ეკადრებოდა, არ ჰქონდა გაცნობიერებული უფლის კანონების წარუვალი სიბრძნე...

●

დღეს ფშავი ის აღარაა, რაც ძველად იყო. იგი ფიზიკურად დაძაბუნდა და ვეღარც სულიერი სიმდიდრით განიჭებთ დიდ სიხარულს. როდესაც ფშაველებს ვესაუბრები, თითქმის ყველა — დიდი თუ პატარა — სინანულით ამბობს, რომ ამ კუთხეს არ ეღირსა ხეირიანი სატელევიზიო ანძა, რომლის მეშვეობითაც ტელევიზიის სიკეთე (განა მარტო სიკეთე?!) ყველა სოფელს მისწვდებოდა და არა მხოლოდ მაღაროსკარს... იმასაც გულისტკივილით აღნიშნავენ, რომ ფშავის მრავალ სოფელს სანატრელი გაუხდა ცხოვრების თუნდაც ელემენტარული პირობები (რაც, ასევე, სრული ჭეშმარიტებაა!), მაგრამ ძალიან იშვიათად თუ შემოგჩივლებს ვინმე, რომ ამ მხარისათვის სიცოცხლესავით საჭიროა ჭეშმარიტი ქართული ეკლესია, სადაც ადამიანები ილოცებენ და ღვთის ულამაზეს და უწმინდეს მადლს ეზიარებიან, სადაც აქაური პატარები მოინათლებიან.... ნათლისღება ხომ სულიერი შობაა!..

ფშაველს (და არა მარტო ფშაველს) ყოველთვის როდი აქვს საშუალება იმისა, რომ ბავშვი მოსანათლად მცხეთაში (ან თბილისში) წაიყვანოს; ხშირად არც იმის საშუალება გააჩნია, რომ მიცვალებულის საზიარებლად მღვდელი იმავე მცხეთიდან (ან თბილისიდან) ამოიყვანოს... სწორედ ამის გამო ხდება, რომ აქაური ბავშვები ხშირად დაგვიანებით ინათლებიან და, რაც განსაკუთრებით გულსატკენია, აქაური მიცვალებულები უზიარებლად მიდიან იმ ქვეყანაში... ეს ფაქტი, რომელიც ახე დამაფიქრებელია, მხოლოდ ფშაველთა სატკივარი როდია!..

●

დღეს, როდესაც ეროვნული მოძრაობა აღმავალი გზით მიდის, როდესაც უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით მიმდინარეობს ძველი ეკლესიების აღდგენა და შეკეთება და, რაც განსაკუთრებით სასიხარულოა, ახალი ეკლესიებიც შენდება, აუცილებელია, რომ ფშავის მიწაზედაც აღიმართოს ეკლესია, რომელიც იქნება ხალხისათვის სულიერი საზრდოს მიმნიჭებელი, ოჯახებში ქრისტიანული მადლის შემტანი და უფლის სიდიადეს დაშორებულ გულთა გადამრჩენელი... უთუოდ ზევრის მთქმელია კართაგენის ეპისკოპოსის წმიდა კვიპრიანეს სიტყვები: „ვისთვისაც ეკლესია დედა არა არის, მისთვის მამა არა არს...“

კარგი იქნება, თუ ეკლესია აშენდება ჩარგალში — იქ, სადაც ვაჟა-ფშაველას სახლი დგას... აქ ყოველწლიურად ათასობით და ათი ათასობით ადამიანი მოდის ქართველი პოეტის სახლ-მუზეუმის სახილველად და ძნელი წარმოსადგენი არაა მათი (სტუმრისა თუ მასპინძლის) დიდი სულიერი დღესასწაული, როდესაც ისინი ერთდროულად იგრძნობენ ვაჟას ფუძის მადლსა და ქრისტიანული ეკლესიის სითბოს... ამ ეკლესიაშიც მხურვალედ ილოცებენ არა მარტო საქართველოს ამაღლებისათვის, არამედ მთელი სამყაროს მშვიდობიანი მერმისისათვის... ყოველი ლოცვა სიწმინდისა და სინათლის სიმბოლოა, მაგრამ შინაგანად ლოცვებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ხოლო ვაჟა-ფშაველას სახლის სიახლოვეს სივრცისა და დედამიწის უფლისმიერ მშვენებად მოვლენილი ეკლესიის სიჩუმეში ყველაზე ხშირად მაინც ერთი ლოცვა დააახლოებს გულებს ერთმანეთთან. იმ ერთი ლოცვის წყალობით უფრო აყვავდება ნიჭი ურთიერთმიტევებისა, ნდობისა და სიყვარულისა. ეს ის ლოცვაა, რომელიც, როგორც სასწაული, ყოველთვის იარსებებს ადამიანის გულსა და გონებაში... ეს ის ლოცვაა, რომელიც თითქოს მთელმა საქართველომ თავის დროზე ვაჟა-ფშაველას ბაგით აღავლინა:

„ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე...“

**ვაჟა ხორნაული**

გვერდის სპონსორები არიან საქართველოს მოქმედი ასოციაცია „ალიანსები" და ამავე ასოციაციის ფირმა „ამგი"

ორ თვეზე ცოტა მეტი გავიდა იტალიის სტადიონებზე გამართული მსოფლიოს XIV ჩემპიონატიდან. მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე 24-ვე გუნდმა სხვადასხვაგვარად დაგვამახსოვრა თავი — ზოგმა დადებითად (გფრ, ინგლისი, კამერუნი, ეგვიპტე, ბელგია, იუგოსლავია და ბევრი სხვა კიდევ), ზოგმა კი უარყოფითად (ავსტრია, შოტლანდია და განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის ნაკრები). მაგრამ, მთავარი კი, ამ 24-ვე გუნდისათვის ის იყო, რომ ისინი, ყველა, მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სპორტულ ღონისძიებაში — ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობდნენ. ყველა მათგანმა ეს უფლება (არგენტინისა და იტალიის გარდა) შესარჩევ მატჩებში გამარჯვებით მოიპოვეს და მათი საუკეთესო წარმომადგენლები კი არა ერთი ცნობილი სპორტული გამოცემების მიერ დასახელებულ სიმბოლურ ნაკრებებში მოხვდნენ. გავიხსენოთ ის შესანიშნავი შემსრულებლები, რომელთა ბრწყინვალე თამაშმაც დიდი სიამოვნება მოგვიტანა ფეხბურთის ყველა ჭეშმარიტ თაყვანისმცემელს: სალვატორე სკილაჩი და რობერტო ბაჯო, ლოტარ მათეუსი და იურგენ კლინსმანი, დრაგან სტოიკოვიჩი და ენცო შიფო, პოლ გასკოინი და როჟე მილა, რაფაელ მარტინ ვასკესი და გიორგი ხაჯი, კლაუდიო კანიჯია და დიეგო მარადონა, მარკ რაიტი და გვიდო ბუხვალდი, სერჯიო გოიკოეჩეა, და კლაუდიო ტაფარელი და სხვა მრავალი...

მაგრამ, ძნელია იმის თქმა, რომ 24-ვე ფინალისტი ღირსეულად გავიდა მსოფლიოს პირველობის ფინალურ ტურნირში. დაგვეთანხმებით, რომ ბევრს დასწყდა გული, ალბათ, რადგანაც ვერ ვიხილეთ დანიის, საფრანგეთის, პორტუგალიის, ალჟირისა და სხვა ნაკრებები. ქვემოთ ჩვენ შემოგთავაზებთ სიმბოლურ ნაკრებს შედგენილს იმ ფეხბურთელებისაგან, რომელთა ნაკრებებიც იტალიაში ვერ ვიხილეთ...

აი, ისინიც, წლევანდელი ჩემპიონატის „დაუსწრებელი" ლაურეატები:

ჟოელ ბატსი (საფრანგეთი); მანუელ ამორო (საფრანგეთი), როჟე ვერლი (შვეიცარია), კარლ-ჰაინც ფიორსტერი (საფრანგეთი), ველოსო (პორტუგალია); სიორენ ლერბიუ (დანია), ლაიოშ დეტარი (უნგრეთი), ნორმან უაიტსაიდი (ჩრდილოეთ ირლანდია); ჟან-პიერ პაპენი (საფრანგეთი), ჰუგო სანჩესი (მექსიკა), ფილ ლაუდრუპი (დანია).

დაგვეთანხმებით, რომ ეს არც თუ ურიგო ნაკრებია და თანაც ამას თუ დავუმატებთ კიდევ რამდენიმე მაღალი კლასის ოსტატებს, როგორებიც არიან იესპერ ოლსენი და ბრაიან ლაუდრუპი (ორივე — დანიიდან), ჰაინც ჰერმანი (შვეიცარია) და პაოლო ფუტრე (პორტუგალია), დარიუშ ძეკანოვსკი (პოლონეთი) და ანდრეას ტომი (გდრ), რაბაჰ მაჯერი (ალჟირი) და იან რაში (უელსი), დავინახავთ, რომ მართლა ბევრი მაღალი კლასის ფეხბურთელი ვერ ვიხილეთ. რაც შეეხება კარლ-ჰაინც ფიორსტერს, ახლო წარსულში დასავლეთ გერმანიის ნაკრების ამ შესანიშნავ სტოპერს, მას ამჟამად საფრანგეთის მოქალაქეობა აქვს მიღებული და მიუხედავად 32 წლისა, შესანიშნავ სპორტულ ფორმაში იმყოფება.

●

ფიორსტერს, ამოროსა და სხვა ზემოთდასახელებულ ფეხბურთელებს გულგასატეხი იმდენად არა აქვთ, რამდენიც იმ ფეხბურთელებს, რომლებიც იტალიის ჩემპიონატის ფინალურ ასპარეზობაში ვერ მოხვდნენ, თუმცა კი მათი ნაკრებები იღებდნენ მონაწილეობას...

დიახ, ზოგიერთს ტრავმა აწუხებდა, ზოგიერთი ამ დროისათვის ციხეში იჯდა (ქასიმარი, მაგალითად), ზოგიერთები კი (უმრავლესობა) მწვრთნელების აზრით, თანამედროვე მოთხოვნებს ველარ პასუხობდა.

ჩვენ შევეცადეთ ამ უიღბლო ფეხბურთელთაგანაც შეგვედგინა სიმბოლური ნაკრები და ვინ იცის, იქნება ისინი თავიანთ თანაგუნდელებზე უკეთ გამოსულიყვნენ კიდევაც?..

აი, ეს ნაკრებიც:

ლუის ისლასი (არგენტინა); პიჯინიო ქასიმარი (ბრაზილია), მიოდრაგ ბელოდედიჩი (რუმინეთი), ხულიო პაულო ცეზარი (ბრაზილია), ზორან ვუიოვიჩი (იუგოსლავია); გლენ ჰოდლი (ინგლისი), ალექსეი მიხაილიჩენკო (სსრკ), სილვა ჯეოვანი (ბრაზილია); რამონ დიასი (არგენტინა), ჯონი ბოსმანი (ჰოლანდია), პაკო ლორენტე (ესპანეთი).

ჩვენი აზრით ამ შემადგენლობიდან თავიანთ ნაკრებებს ყველაზე ძალიან მიხაილიჩენკო, ბოსმანი და ლორენტე დააკლდათ. თუმცა, აქაც, ეს სია შეიძლება გაიზარდოს შემდეგი ფეხბურთელებით: გორდონ სტრაჩანი (შოტლანდია), ვიმ კოფკენსი (ჰოლანდია), ხორხე ვალდანო, ნესტორ გოროსიტო და ხოსე ალბერტო პეოკუდანი (სამივე — არგენტინა), მილან იანკოვიჩი, მეჰმედ ბაჟდაროვიჩი და ზვონიმირ ბობანი (სამივე — იუგოსლავია), დიტერ ეკშტაინი და ჰანს დიოოფნერი (ორივე — გფრ), პაველ იაკოვენკო (სსრკ) და სხვა...

# ისინი იტალიაში...



# ვერ გამოვიდნენ

ბივი ტიგანელი

**სურათზე:** ჰოლანდიის ნაკრების ცენტრფორვარდი ჯონი ბოსმანი, რომელიც ნაკრების მწვრთნელმა ლეო ბეენჰაკერმა ჩემპიონატის დაწყების წინ გამოიყვანა ძირითადი შემადგენლობიდან...

# როდემდის?..

**XXI ტურში** რამდენიმე საინტერესო მატჩი იყო, მაგრამ ჩვენი ყურადღება მაინც თბილისის „იბერიისა" და ცხინვალის „ლიახვის" შეხვედრის მიმართ იყო მიპყრობილი. ჩვენი გაზეთის მკითხველთ გვინდა ვაუწყოთ, რომ შეძლებისდაგვარად ვცდილობთ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ყოველი ტურის ერთი მატჩის გარჩევას, თანაც, იმ პირობით, რომ 18-ივე მონაწილე გუნდზე ფეხბურთის მოყვარულთ გარკვეული წარმოდგენა შევუქმნათ (გვაპატიონ ოჩამჩირის „ამირანისა" და სოხუმის „ცხუმის" გულშემატკივრებმა, რადგანაც, სხვადასხვა მიზეზების გამო, მათი წარდგენა გულშემატკივრების წინაშე არ მოხერხდა).

...ჯერ კიდევ 2 მაისს, ერთ-ერთი შეხვედრის წინ ცხინვალის „ლიახვის" ხელმძღვანელობა გვარწმუნებდა, რომ ოთხი დღის შემდეგ საკუთარ სტადიონზე გამართავდნენ შეხვედრას. და აი, გავიდა სამ თვეზე მეტი და ცხინვალელები ყველა შეხვედრებს კვლავ სტუმრად ატარებენ. ბოლოს და ბოლოს, ვთქვათ სიმართლე — რადგან ის მიზეზი, რომ ცხინვალში სტადიონი მზად არ არისო, სასაცილოა პირდაპირ. დავიჯეროთ, რომ მთელი პირველი წრის განმავლობაში ვერ მოხერხდა სტადიონის შეკეთება? არა, ეს ყოველივე თავის მოტყუებაა. რა, არ ვიცით, რომ ცხინვალში მხოლოდ იმ პირობით დათანხმდნენ ეროვნული ჩემპიონატის მატჩების გამართვას, თუ იქ საქართველოს ეროვნული დროშა არ აფრიალდებოდა...

ყველაფერ ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ცხინვალის „ლიახვი" ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდებიდან ყველაზე სუსტ ფეხბურთს თამაშობს და არავის უნდა გაუკვირდეს მათი ესოდენ არასახარბიელო სატურნირო სიტუაცია. ამაში კი ყველაზე ნაკლებად (ჩვენი აზრით) გუნდის ხელმძღვანელობა და მოთამაშე ფეხბურთელები არიან დამნაშავე. ვინ იცის, იქნებ, საკუთარ სტადიონზე რამდენიმე გამარჯვება მაინც მოეპოვებინათ, არადა, XXI ტურის შემდეგ გუნდს არც ერთი ქულა არ აქვს!..

ჩვენ შეგნებულად ვიკავებთ თავს მათი თამაშის ხარისხის აღწერაზე, რამდენადაც ვატყობთ, რომ გუნდი აშკარად უყურადღებობას განიცდის ადგილობრივი ხელისუფლებისა თუ საერთოდ ამ კოლექტივის ბედ-იღბალით დაინტერესებული პირების მხრიდან. მაშ რას უნდა მივაწეროთ ის ფაქტი, რომ „ლიახვი" დაგვიანებით ჩამოვიდა თბილისში „იბერიასთან" სათამაშოდ და მატჩიც მთელი 45 წუთის დაგვიანებით დაიწყო? ან კიდევ ის სამარცხვინო ფაქტი, რომ მეორე ტაიმში, როცა ერთ-ერთი ცხინვალელი ფეხბურთელი მოედნიდან პირდაპირ სათადარიგოთა სკამზე გაიქცა, რათა თავისი ტრუსები და ბუცები თანაგუნდელისათვის გადაეცა, რომელიც შემოსასვლელად ემზადებოდა?..

...ჩვენ, ჟურნალისტებს, ხშირად გვსაყვედურობენ, რომ თითქოსდა ეროვნული ჩემპიონატის გაშუქებებისას მხოლოდ ნაკლოვანებებს ვხედავდეთ. კი მაგრამ, ასეთ ფაქტებს როგორ შეიძლება გვერდი ავუაროთ, თუ კი ყველანი ქართული ფეხბურთის დონის ამაღლებაზე და უახლოეს ხანში საერთაშორისო სარბიელზე გასვლას ვოცნებობთ, ამიტომაც ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ქართული ფეხბურთი სწორი გზით წავიდეს. არადა რა გამოდის — ყოველ ტურში იზრდება სტადიონებისა და თუ ცალკეული ფეხბურთელების „შავი სია".

როდემდის?..

იქნებ აჯობებდა, რომ კიდევ ერთხელ შევკრებილიყავით ყველანი ერთად — ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა, ჟურნალისტები, მსაჯები, ფეხბურთელები და გულშემატკივრები, რათა კიდევ ერთხელ, საჯაროდ, ვთქვათ სათქმელი და დავსახოთ კონკრეტული გზები ამ არც თუ იოლი საკითხის გადასაჭრელად.

...ახლა კი, ორიოდე სიტყვით შეხვედრის შესახებ, რომელშიც პირველი წუთებიდანვე აშკარა იყო თბილისელთა უპირატესობა. თანაც წინდაწინ უნდა ითქვას, რომ მატჩის საბოლოო ანგარიში — 7:0, მთლიანობაში კიდევ ვერ გამოხატავდა „იბერიის" სიძლიერეს და მოწინააღმდეგის სისუსტეს...

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „იბერია" ამ შეხვედრას შესუსტებული შემადგენლობით ატარებდა — სხვადასხვა მიზეზების გამო არ თამაშობდნენ გია გურული, სოსო ჭედია, კახი გოგიჩაიშვილი და ზაურ ხაპოვი. ამას ისიც დაემატა, რომ მოთელეაზე ტრავმა მიიღო და ვერ შესძლო თამაში დავით ყიზილაშვილმაც, მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად ზაზა რევიშვილმა (3), გია ჯიშკარიანმა (2), როინ კერძევაძემ და მიხეილ ყაველაშვილმა შვიდი უპასუხო გოლი გაიტანეს მეტოქეთა კარში. სიტყვა „მეტოქე", ცოტა არ იყოს, უხერხულად ჟღერს კიდევაც, რადგანაც პირველი დარტყმა „იბერიის" კარის მიმართულებით მათ მხოლოდ 85-ე (!) წუთზე შეასრულეს...

გატანილი გოლებიდან, ყველაზე ეფექტური, ჩვენი აზრით, მეორე გოლი იყო, რომელიც ზაზა რევიშვილის ოსტატურად ჩამოწოდებული პასის შემდეგ თავით გადაგზავნა „ლიახვის" მეკარის, თეიმურაზ სანაკოევის კარში გია ჯიშკარიანმა. სხვათა შორის, ცხინვალელთა მეკარე, ალბათ, ერთადერთი იყო თავის გუნდში, რომელიც წინააღმდეგობის გაწევას ცდილობდა.

თბილისელთაგან კი განსაკუთრებული აქტიურობით კახი ცხადაძე, თემურ ქეცბაია და კახი კაჭარავა გამოირჩეოდნენ, თუმცა გოლის გატანა მაინც ვერ მოახერხეს, არადა მომენტები კი მათაც საკმაოდ ჰქონდათ.

...შეხვედრის ბოლო აკორდი კი გია ჯიშკარიანის ოსტატურად შესრულებული საჯარიმო და კახი ცხადაძის ასევე არანაკლებ ეფექტური თავური დარტყმა გახლდათ, მაგრამ ორივე შემთხვევაში სულ მცირედიღა რჩებოდა, რომ ბურთი ცხინვალელთა კარში ამოჩენილიყო...

დასასრულ, გაგაცნობთ ამ აშკარად უთანაბრო შეხვედრაში მონაწილე გუნდების შემადგენლობას.

„იბერია": დევაძე, მაჭავარიანი, ცხადაძე, ქველაძე, ჯიშკარიანი, რევიშვილი, ქეცბაია, ჩიქოვანი, კაჭარავა (ყაველაშვილი), შონია (კერძევაძე), არზიანი.

„ლიახვი": სანაკოევი, ვ. გობოზოვი, კახნიაშვილი (ქოქოევი), ი. გობოზოვი, ბესთაევი, მიხაილოვი, ძაგოევი, მარგიევი, ან. ჯიოევი, მაისურაძე (დურგლიშვილი), ალ. ჯიოევი.

გია ტუხაშვილი

**XXI ტურის სხვა შეხვედრები:**

**„ივერია" — „გორდა" 1:3;**

**„გურია" — „ოდიში" 5:0;**

**„ბათუმი" — „ამირანი" 1:0;**

**„ხანავარდო" — „შევარდენი — 1906" 1:2;**

**„ქუთაისი" — „ცხუმი" 1:1;**

**„კოლხეთი—1913" — „სამგურალი" 1:0;**

**„მზიური" — „დილა" 1:1;**

**„მერცხალი" — „კოლხეთი" 2:2.**

**ამ გვერდზე გამოქვეყნებული მასალების ჰონორარი გადაირიცხება ხოფ. ჰუჯაბის მშენებლობის ფონდში, ასოციაცია „ალიანსების" ანგარიშზე 100700608 მთაწმინდის რაიონის მინსოცბანკში.**

ახალგაზრდა ივერიელი

Общественно - политическая молодежная газета «Ахалгазрда Ивериели»

ტელეფონები: მისაღები — 93-97-31; პასუხისმგებელი მდივანი — 93-31-56; წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორის მოადგილე გიგლა გოგეჩია

საქართველოს კპ ცკ-ის სტამბა 380096, თბილისი-96, გ. კოსტავას ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის № 29 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 Наш индекс 66400

რედაქციის მისამართია ქ. თბილისი — 380096 გ. კოსტავას ქ. № 14.